ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 2 სექტემბერი, 2020 №185 (8449) ფასი: 60 თეთრი

„ბიძინა ახლა არავის იყიდის, ის იყიდის არა ნახევარფაბრიკატს, არამედ პროდუქტს არჩევნების შემდეგ“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „პარტიებმა ჩაიცვეს მოკლე კაბა, დადიან პოდიუმზე და ეპრანჭებიან ბიძინასაც და მიშასაც“

„ბევრი მარგინალი გვინახავს, მაგრამ კობახიძემ ყველა მწვერვალი დაიპყრო“

„ბევრი ოცნებაში ამბობენ, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის“

გვ.2

„ბევრი მარგინალი გვინახავს, მაგრამ კობახიძემ ყველა მწვერვალი დაიპყრო“

„ბევრ ადამიანს ეშინია, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის“

„ბევრ ადამიანს ეშინია, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის“

გვ.2

„ბევრ ადამიანს ეშინია, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის“

„ბევრ ადამიანს ეშინია, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის“

„ბევრ ადამიანს ეშინია, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის, ეს ბიძინა ბოლოს ეტაპზე ეტყვის“

გვ.2

„ბიძინა ახლა არავის იყიდის, ის იყიდის არა ნახევარფაბრიკატს, არამედ პროდუქტს არჩევნების შემდეგ“

გია ხუხაშვილი: „პარტიებმა ჩაიცვეს მოკლე კაბა, დადიან პოდიუმზე და ეპრანჭებიან ბიძინასაც და მიშასაც“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად გაიხსნა და „ქართულ ოცნება“ ისევ „მიშა მოდის“ კამპანიას იწყებს. ეს ჩანდა გუშინ ირაკლი კობახიძისა და მამუკა მდინარაძის განცხადებებიდან. კობახიძე იმდენად შორს წავიდა, რომ საკაშვილის კონტექსტში ისიც კი თქვა, რომ მართლმსაჯულება იცდის და ის ბოლოს სრულდება და საკაშვილი პრეზიდენტობის პერიოდთან მიმართებით ფაშისტური გერმანიაც კი გაიხსენა.



„ბევრი მარგინალი გვინახავს, მაგრამ კობახიძემ ყველა მწვერვალი დაიპყრო“

რას ნიშნავს ეს განცხადებები და „ოცნების“ ეს კამპანია? ჩანს თუ არა, რომ „ოცნება“ გარკვეულ ოპოზიციურ პარტიებთან უკვე გარიგდა? საერთაშორისო დამკვირვებლების არჩამოსვლა რა გავლენას იქონიებს არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

– სავარაუდოდ, საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ ჩამოვლენ არჩევნებზე. რა გავლენას იქონიებს ეს და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე კითხვის ნიშნებს ხომ არ გააჩენს?

– კითხვები ყოველთვის იქნება. საქართველოში არ ჩატარებულა არჩევნები, როდესაც კითხვები არ გაჩენილა, მაგრამ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების გარდა, რაც ტრადიციულად ხდება ხოლმე, მასშტაბურ გაყალბებას არ ველოდები. მეტსაც გეტყვით, ხელისუფლებას ეს არ უნდა სჭირდებოდეს ამ ეტაპისთვის. ასე რომ, მე ამ თემის გამო სიტუაციის დრამატიზებას არ დავიწყებდი.

კი ბატონო, ხელისუფლებას გარკვეულწილად დაკარგული აქვს ლეგიტიმაცია, მაგრამ ასევე დაკარგული აქვს ოპოზიციასაც. პოლიტიკური ელიტა ღრმა კრიზისშია. ასეთ ვითარებაში იმის ილუზია არ მაქვს, რომ არჩევნების დელეგიტიმაცია შეიძლება მოხდეს, თუ ხელისუფლებამ განსაკუთრებული სისულელეები არ ჩაიდინა.

– რა შეიძლება იყოს ის დიდი სისულელე?

– არ ვიცი. საერთოდ ამას საზღვარი არ აქვს. მე ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს. საქართველოს უახლესმა ისტორიამ არათუ ჩემ თვალწინ გაიარა, არამედ ჩემ ხელში გაიარა. ადამიანების სიბრიყვეს და უტიფრობას ზღვარი არ აქვს.

– მოიაზრებთ ამ ნაწილში ირაკლი კობახიძეს, რომელიც უკვე გამოუშვეს საარჩევნო კამპანიისთანავე და მრავალნაირი განცხადებები აკეთა?

– კი, ის არის ერთ-ერთი მათგანი. საერთოდ ირაკლი კობახიძე უნიკალური მოვლენაა საქართველოს უახლეს ისტორიაში. ბევრი მარგინალი გვინახავს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი კობახიძემ ყველა მწვერვალი დაიპყრო. პრინციპში, ეს მოსალოდნელიც იყო. ირაკლი კობახიძე არის ქართული პოლიტიკის წითელი ნაჭერი. ოპოზიციასთან მიმართებით დიდ ისტერიკაში ვარდება, ამას ვნახავთ კიდევ ერთხელ. ეს არის მისი პირადი უბედურება. როდესაც პოლიტპატიმრებზე ვლაპარაკობთ, სხვა არის პოლიტპატიმარი და კიდევ სხვაა ირაკლი კობახიძე. ეს ადამიანი ძალიან პრობლემატურია.

– გამართდა თქვენი მოლოდინი, „ოცნებამ“ და უშუალოდ ირაკლი კობახიძემ კამპანია ისევ მიშაზე ააგეს.

– როდესაც პოზიტიური დღის წესრიგი არ გაქვს, მაშინ ნეგატიურ ნარატივზე გაქვს კამპანია აგებული. როცა მომავლის იმედს ვერ ქმნი, მაშინ ისევ წარსულით უნდა შეაშინო. თუ 2012 წლამდე პირობითად ვცხოვრობდით იმედგაცრუების და იმედის მოცემის მიმართულებით, ანუ მოდიოდა ხელისუფლება, რომელიც ხალხის იმედებს ვერ ამართლებდა, შემდეგ მოდიოდა ახალი შეთავაზება და იქმნებოდა მომავლის იმედი. ასე იცვლებოდა ხელისუფლებები. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ შიშის ეპოქაში, იმედის ეპოქაში აღარ ვცხოვრობთ. პოლიტიკური ძალა იმას კი არ ცდილობს, რომ უკეთესი მომავლის იმედი შექმნას, არამედ ის აშინებს საზოგადოებას. ეუბნება, რომ მე თუ არ ამირჩევ, აგერ ბუა მოვა და შეგჭამს.

ოპოზიციაც იგივეს აკეთებს, რომელიც ამბობს, რომ თუ ეს ხელისუფლება დარჩა, მაშინ ეკონომიკური კრიზისი გველოდება და შიმშილით მოკვდებითო. ანუ, გვაშინებენ. ნეგატიურ ჭრილში წარმოადგენენ. არჩევანს გვთავაზობენ წარსულსა და აწმყოს შორის. წარსული ნაციონალური მოძრაობა და აწმყო „ქართული ოცნება“.

– ეს მიმართულება გეოპოლიტიკურ საკითხად ხომ არ იქცა, იმიტომ, რომ თუ დავაკვირდებით იგივე აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს, იქაც ზუსტად ნეგატივზეა აგებული?

– იქ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს. ამ გამონაკლისის კატალიზატორი გახდა კოვიდინფექცია. ამან გამოიწვია ეკონომიკის ტოტალური ვარდნა, შესაბამისად დაპირისპირებაზეა ყველაფერი აგებული. ეს არ არის მხოლოდ ამერიკული ფენომენი. ჩვენთან კი ეს ტრადიციულია, არაფერი არ იცვლება ჩვენთან. იმიტომ, რომ ისედაც ასე იყო.

– კობახიძე როცა საკაშვილს ფაშისტურ გერმანიას ადარებს, ეს რამდენად რელევანტურია?

– რა თქმა უნდა, არ არის რელევანტური. საკაშვილს ბევრი ცოდვა აქვს ამ საზოგადოების წინაშე ჩადენილი, მაგრამ კობახიძეს სხვა არაფერი უსწავლია და ამას აკეთებს. რა თქმა უნდა, ეს ეფექტური ველარ იქნება, მაგრამ გათვლა იმაზეა, რომ ამ პროპაგანდის გამო ადამიანები დატოვონ ალტერნატიული არჩევანის გარეშე. დატოვონ ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პირისპირ. მეორე პოლუსზე მუდმივად იმეორონ, რომ საშინელებაა, ფაშისტურია და ა. შ. და იქნებ ბოლოს იაფად იყიდონ, კი არ დაარწმუნონ რამეში...

ამომრჩეველს არც ერთი მოსწონს და არც მეორე. მიშა ცუდია და ბიძინაც ცუდია, ამიტომ რადგანაც ნორმალური არჩევანი არ მაქვს, იმას მივცემ ხმას, ვინც რაღაცას გადაიხდის ამაში. ბუნებრივია, რომ ბოლო ეტაპია გადახდა. ანუ დაძაბავენ ამომრჩეველს, მისცემენ არგუმენტს „მგელი მოდის“ სახით და ბოლოს იყიდიან. ცოტა ბონუსებს მისცემენ და რაღაცას გადაუხდიან. გადახდაში მაინცდამაინც ფულს არ ვგულისხმობ. ეს შეიძლება იყოს გაზის გაყვანა, წყლის გაკეთება, 40 ლარი გადმომიგდე სოციალური დახმარების სახით და ა. შ. ეს არის მათი გათვლა, თორემ თავისთავად მიშას დემონიზაცია ძალიან გაცვეთილი თემაა. მიშათი ახლა შეიძლება შეაშინო მხოლოდ 3 წლის ბავშვი.

– ხომ არ გაურიგდა „ქართული ოცნება“ პარალელურად გარკვეულ ოპოზიციურ პარტიებს, თუ მას დასჭირდა კოალიციის შექმნა?

– არა მგონია. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილი ბევრად უფრო ცინიკურად უყურებს ამ პროცესს. ის ასე ფიქრობს, რომ რატომ იყიდოს „შავი კატა“. იმიტომ, რომ ჯერ არ ვიცით, რა შეუძლიათ პოლიტიკურ ძალებს.

– მაშინ რას უნდა დავუკავშიროთ იგივე ელისაშვილის, ვაშაძის თუ ფოფხაძე-ნაცვლიშვილის პარტიების მოქმედებები?

– არა, შეთავაზებას ესენი აკეთებენ. აუცილებელი არ არის დაკვეთა მოდიოდეს იქიდან. ესენი იპრანჭებიან. კავალერი კი არ უკვეთავს, არამედ თვითონ დადიან მიხვრა-მოხვრით და იპრანჭებიან. პარტიები ეპრანჭებიან ბიძინას, ეპრანჭებიან მიშას. პოდიუმზე გამოდიან, პოლიტიკას კი არ აკეთებენ. პოდიუმზე არიან, მოკლე კაბას იცვამენ და ეპრანჭებიან. მაგრამ მყიდველი ანუ ბიძინა ივანიშვილი დღეს არ იყიდის არავის. მას აქვს იმის რესურსი, რომ ნახევარფაბრიკატი კი არ იყიდოს, როცა არ იცის, იქიდან რა გამოვა, არამედ იყიდოს გარკვეული პროდუქტი. ის თუ რამეს იყიდის, უკვე არჩევნების შემდეგ იყიდის, თუ ეს დასჭირდა. შეიძლება ეს ცოტა უფრო ძვირი დაუჯდეს, მაგრამ აქვს ფული და გადაუხდის.

– ვის ხედავთ იმ კატეგორიაში, ვინც ეპრანჭება ივანიშვილს?

– მე პირიქით კითხვას დავსვამდი – ვის ხედავთ ისეთს, ვინც არ გაეკიდება?! მე არც თქვენ კითხვაზე მაქვს პასუხი და არც მეორე კითხვაზე. ინფორმაციის ფლობაზე არ არის საუბარი. მე არ ვარ მაღალი აზრის ქართული პოლიტიკური ელიტის მორალურ სტანდარტებზე. ვერავისზე ვერ გეტყვით დარწმუნებით, რომ არ გაიყიდება.

მე არა მგონია, რომ დღეს ვინმე უკვე არის გაყიდული, მაგრამ გაყიდვის პოტენციალი აქვს ყველას. თუ კოალიციაზე იქნება ლაპარაკი, მე არა მგონია, რომ საკითხი ასე დაისვას. კი ბატონო, „ოცნება“ ცუდია, მაგრამ ნაცმოძრაობა რამით სჯობს?! სწორედ ის არის მეორე პოლუსი. შესაბამისად თუ ვინმე გაიყიდება, მას ექნება მყარი არგუმენტი. იმიტომ, რომ მას არჩევანი ჰქონდა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის და წავიდა „ოცნებასთან“. მე ასეთ ხალხთან პრეტენზია ვერ მექნება. იმიტომ, რომ არ ვთვლი, რომ ნაცმოძრაობა რამით უკეთესია.

– ოპოზიცია ერთიანობის დემონსტრირებას ახდენდა სხვადასხვა საკითხებზე, დღეს ჩანს თუ არა, რომ ეს დამთავრდა კრახით?

– ერთიანობა მოგონილი თემაა. არ არსებობს პოლიტიკაში ერთიანობა. არსებობს ინტერესთა დროებითი თანხვედრა, მეტი არაფერი. პარტია იმის პარტიაა, რომ თვითონ ჰქონდეს ამბიცია. თუ ათი პარტია ერთ აზრზეა, მაშინ ერთი პარტიაა და რაღად უნდათ ცალ-ცალკე ყოფნა?! მე ვთვლი, რომ ამ მხრივ ყველაფერი მიდის სწორად. თემატურ თანამშრომლობასა და კოორდინაციაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ პარტიულ ერთიანობაზე საუბარი ზედმეტია თუ საერთო მსოფლმხედველობაზე არ არიან შეთანხმებულები და ისიც საშუალო ვადიან პერიოდში.

– ინტერესთა თანხვედრა იყო ისიც, რომ ივანიშვილი გაუშვან ხელისუფლებიდან. ამ მიმართულებითაც გამოჩნდა პრობლემები.

– კოორდინაციამ რაღაც შედეგები მოიტანა. ეს კარგი კოორდინაცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ საკონსტიტუციო ცვლილებები არ გვექნებოდა.

– თუ ისევ „ოცნება“ მოიგებს?

– მე წაგება-მოგება არ მაინტერესებს. ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან სისტემურ გადწყვეტილებაზე. მოგება და წაგება პარტიების ინტერესია. სახელმწიფოებრივი შედეგი მივიღეთ ჩვენ ამ ცვლილებებით. თუ „ოცნება“ მოიგებს, ეს ნიშნავს, რომ მას უნდა მოეგო და რა პრეტენზიები გვაქვს, ეს არ მესმის.

– პრეტენზიები გვაქვს ალბათ ოპოზიციასთან, რომ სწორად არ იმოქმედა.

– ოპოზიცია საკმაოდ ეკლექტურია, ყველას აქვს თავისი გზა, ფასეულობათა სისტემა, განვითარების სტრატეგია... ისინი ერთმანეთის კონკურენტებიც არიან და პირველ რიგში ერთმანეთის კონკურენტები უფრო არიან, ვიდრე ხელისუფლების. იმიტომ, რომ ელექტორალური სეგმენტები ერთმანეთში ბევრად მეტად იკვეთება, ვიდრე ხელისუფლებასთან. ჯანსაღი კონკურენცია ცუდი არ არის, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საბნის გადაქაჩვის პრინციპით.

იგივე მაჟორიტარებზე შეთანხმება აბსურდული გეგმა იყო. იმის ილუზია არავის უნდა ჰქონდეს, რომ თუ ერთმანეთთან ერთიან კანდიდატზე შეთანხმდებიან, ეს ხელისუფლებას პირველივე ტურში დაამარცხებს. ეს ასე არ იქნება. მეორე ტურების სტრატეგიაა სწორი. იმისათვის, რომ შედგეს მეორე ტური, პირველ ტურში რაც შეიძლება მეტი კანდიდატი უნდა იყოს. არ უნდა შეიზღუდოს მათი რაოდენობა. თუ ოპოზიციას უნდა თანამშრომლობა, ეს უნდა შედგეს მეორე ტურში, სადაც ოპოზიცია კონსოლიდირებულად დაუჭერს მხარს ოპოზიციის მხრიდან მეორე ტურში გასულ კანდიდატს.

ეს არის სწორი და ეფექტური გზა, თორემ მოდი, ახლა ჩვენ ერთიანი კანდიდატით გამოვიდეთ და გვქონდეს ილუზია, რომ პირველივე ტურშივე დავამთავროთ, ეს ასე არ იქნება. ვერ დაამთავრებენ.

ამიტომ ამ მხრივ ყველაფერი სწორად მიდის.

„ტრაქტორს საბურავი მოძვრა, ამოყირავდა და 52 წლის ქალი მოიყოლა“

ავარიას საჩინოში მსხვერპლი მოჰყვა

წალენჯიხის სოფელ საჩინოში უბედურ შემთხვევას შუა ხნის ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევა გუშინ, 1 სექტემბერს, მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის რწმუნებულმა ანზორ შეროზიამ განუცხადა, ტრაქტორი გადაბრუნდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე კი დაშავდა.

– მეზობელს მიჰყავდა ტრაქტორით რამდენიმე ქალი თხილის მოსაგროვებლად, როდესაც უკანა საბურავი მოძვრა, ამოყირავდა და ქვეშ მოექცა 52 წლის ქალი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. დაშავებულებიც არიან, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ყველა ერთმანეთის მეზობელია, – განაცხადა ანზორ შეროზიამ.

შს სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა გულისხმობს მის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

წითელ ხიდზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საქართველოს მოქალაქეს არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოუჩინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

როგორც მათ ინფორმაციაშია აღნიშნული, ამოღებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 7576,17 ლარი შეადგინა.

„საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის, ს.კ.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (საერთო წონა 59,72 გრ.) აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 7576,17 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი და სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 7576,17 ლარის ოდენობით შეეფარდა“ – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჭავჭავაძეზე მანქანა ავტობუსს დაეჯახა

ჭავჭავაძის გამზირზე ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და ავტობუსი შეეჯახა. ინციდენტი თურქეთის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

ავტომანქანაში მცირეწლოვანი ბავშვიც იმყოფებოდა.

არც ერთი ტრანსპორტის მგზავრები არ დაშავებულან. შსს-მ მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნებისა“ და პატრიოტთა ალიანსის სათავო ოფისი კრემლშია

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლელოს წევრი ლევან სამუშია პასუხობს.

– ლევან, პატრიოტთა ალიანსის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. სკანდალური ბანერის შემდეგ, კიდევ უფრო სკანდალური ინფორმაციები გასაჯაროვდა. ოპოზიციის უმრავლესობა პატრიოტთა ალიანსის არჩევნებიდან მოხსნას ითხოვს, როგორია თქვენი პოზიცია? პროკურატურამ მოკვლევა დაიწყო, რა მოლოდინი გაქვთ?

– ცალსახაა, რომ ამ ყველაფერზე სამართლებრივი ქმედებებია დასაწყები. აქ საუბარია ოკუპანტი ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობაზე. პირდაპირ გეუბნებით, რომ ამ ყველაფერს ხელს უწყობს „ქართული ოცნება“. წარმოუდგენელია საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე, რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ, გაერთიანებამ და ჯგუფმა, მსგავსი რამ შეძლოს და გააკეთოს. ეს უბრალოდ წარმოუდგენელია. ბუნებრივია, გამოძიება დასაწყებია და უნდა დაიწყოს, თუმცა ეს რამდენად შედეგიანი იქნება „ქართული ოცნების“ პირობებში, ვერ გეტყვით.

– რატომ?

– იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ და პატრიოტთა ალიანსი არის ერთი ძალა. ხელისუფლება მათ საწინააღმდეგოდ არაფერს გააკეთებს.

– სულ საუბრობდნენ, რომ პატრიოტთა ალიანსი „ოცნების“ სატელიტი პარტიაა და აქეთ მიანიშნებთ?

– გინდ სატელიტი დავარქვათ და რაც გინდათ ის დავარქვათ. ეს არის ერთი ძალა და მათი სათავო ოფისი არის კრემლში. სწორედ იქიდან იმართებიან. აქედან გამომდინარე, პროკურატურის მხრიდან ვითომ გამოძიების დაწყება, ეს არის იძულებითი ნაბიჯი, რომ რაღაცა პატარა, მცირედი მოქმედებები ჩაატაროს. აი ამ ყველაფრის წამალი არის, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები. სწორედ საზოგადოება გამოუწერს შესაბამის წამალს ამ ხელისუფლებას. ერთი კითხვით მინდა მივმართო საზოგადოებას, გინახავთ ბოლო წლების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნებაა“ ხელისუფლებაში, ერთი რუსული სადაზვერვო, ან აგენტურული ჯგუფის გამოვლენა, ან გაძევება ქვეყნიდან და ასე შემდეგ? ვის სჯერა იმის, რომ რუსეთს საქართველოში აგენტურული ქსელი არა აქვს და აქ არ მუშაობენ. ეს რაზე მეტყველებს? იმაზე, რომ მათ აქვთ მჭიდრო კავშირები საქართველოში.

– საკმაოდ მძიმე ბრალდებებზეა საუბარი, ასევე მილიონობით დოლარის დაფინანსებაზე. პატრიოტთა ალიანსში მხოლოდ ბანერთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადებები და ეს გაუგებრობას დააბრალეს.

– თანხებს რაც შეეხება, ეს არის გამოძიების საგანი. ბანერი კი ცალკე თემაა. ან სოხუმში როგორ გაატარეს ოკუპანტებმა და მიიღეს ზარ-ზეიმით. ეს ყველაფერი როგორ ხდება?! თქვენ რომ მოინდომოთ, შეძლებთ აფხაზეთში გადასვლას?! რა შეეხება ბათუმში ბანერის გაკვრას. ეს იყო მათი მიზნების და ზრახვების ერთ-ერთი გამოვლინება. ეს იყო არა თუ შეურაცხყოფა, არამედ ეს იყო საშიში ფაქტი და პირდაპირ რუსული მესიჯის, რუსული აზრების და სურვილების გახმოვანება.

– რუსეთის სურვილები გაახმოვანეს?

ლევან სამუშია – თქვენ რომ მოინდომოთ, შეძლებთ აფხაზეთში გადასვლას?!

– დიახ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რუსეთი როგორ და რანაირად უყურებს ამ ყველაფერს. სწორედ ლელოს წარმომადგენლები იყვნენ, კერძოდ, ჩვენი მაჟორიტარობის კანდიდატი ბათუმში, ირაკლი კუპრაძე, რომელმაც დაუყოვნებლივ იმოქმედა და სახელმწიფოს გასაკეთებელი საქმე გააკეთა. ეს ბანერი სახელმწიფოს უნდა ჩამოეხსნა დაუყოვნებლივ, მაგრამ ჩვენი პარტიის ჩამოსახსნელი გახდა. ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს, რომ ხელისუფლება, ყველანაირ სასათბურე პირობებს უქმნის პატრიოტთა ალიანს და მოქმედებს იძულების რეჟიმში, როდესაც საზოგადოების რეაქციას ნახავს.

– რამდენად გაქვთ იმის მოლოდინი, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს და მოხსნის პატრიოტთა ალიანსს არჩევნებიდან?

– მე ნაკლებად მაქვს ამის მოლოდინი, სიმართლე გითხრათ.

– მაშინ რით „გაპრავდება“ ეს ყველაფერი?

– რეაქცია იქნება იმ დონეზე, რა დონეზეც საზოგადოების პროტესტი იქნება ამ ყველაფერთან დაკავშირებით. ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი პროტესტი არის და ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს სწორედ ამ პროტესტიდან გამომდინარე. ნორმალური ხელისუფლების პირობებში, ამას პროტესტი არ უნდა სჭირდებოდეს და უსწრაფეს რეაგირებას უნდა ახდენდეს ხელისუფლება.

– საზოგადოების ერთსულოვნების იმედი რამდენად გაქვთ ამ შემთხვევაში?

– საზოგადოება ერთსულოვანია იმაში, რომ რუსეთი არის ოკუპანტი, რომ მან დაგვიხოცა ჯარისკაცები, უდანაშაულო მოქალაქეები. რუსეთი ებრძვის ჩვენს ყველა ნაბიჯს ევროატლანტიკურ ოჯახში გაწევრიანებისკენ გადადგმულს. ამ ფონზე კი გადახედეთ პატრიოტთა ალიანსის ქმედებებს და განცხადებებს. ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, თუ ვის ინტერესებში ჯდება ეს ყველაფერი. საზოგადოება კი ამ ყველაფერს კარგად ხედავს და სწორად აფასებს.

– ანუ თქვენც უერთდებით დანარჩენი ოპოზიციის მოთხოვნას, პატრიოტთა ალიანსის არჩევნებიდან მოხსნასთან დაკავშირებით?

– არათუ ვუერთდებით, ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც ამის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, გააპროტესტა მათი ქმედება და მყისიერად იმოქმედა. ამ პარტიამ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს!

* * *

პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ ასევე გამოდის ევროპული საქართველო, რომლის ერთ-ერთი ლიდერი, **სერგო რატიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პატრიოტთა ალიანსი და „ქართული ოცნება“ ერთი მთლიანობაა, რომ პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში იყო ბიძინა ივანიშვილის ძღვენი პუტინისადმი. სერგო რატიანი არ გამორიცხავს, რომ პატრიოტთა ალიანსის დაფინანსების საკითხი, მათი არჩევნებიდან მოხსნის საფუძველი გახდეს.

– ბატონო სერგო, აცხადებთ, რომ ეს ინფორმაციები, რაც პატრიოტთა ალიანსის დაფინანსების თაობაზე გავრცელდა, მათი არჩევნებიდან მოხსნის საფუძველი უნდა გახდესო, თუმცა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ რაღაც ქაღალდის თემა ვერ გახდება არჩევნებიდან მოხსნის საფუძველიო. მოლოდინი, რომ ხელისუფლება ასეთ პოზიციას დააფიქსირებდა, გამართლდა. რას იტყვით თქვენ?

– ეს მოლოდინი გამომდინარეობს იქიდან, რომ მთავარი მოკავშირე რუსეთის, არის „ქართული ოცნება“ და ის უწყობს ხელს პრორუსული ძალების მომძლავრებას საქართველოში და მათ ლობირებს იმისთვის, რომ ჰქონდეთ გარკვეული პოზიციები, თუნდაც პარლამენტში და თუნდაც სხვაგან. არანაირი პატრიოტთა ალიანსი არ არსებობს „ქართული ოცნების“ დახმარების გარეშე. ის არის უბრალოდ საჩუქარი პუტინს. შესაბამისად, ჩვენ გვყავს ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლება და ის სწრაფად უნდა შეიცვალოს.

სერგო რატიანი – პატრიოტთა ალიანსი არ არსებობს „ქართული ოცნების“ დახმარების გარეშე

– რა მოლოდინი გაქვთ, დარჩება პატრიოტთა ალიანსი საარჩევნო კამპანიაში და არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას?

– ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ლობირებს მაგ საკითხს. ასე რომ, მათი მხრიდან სწორი გადაწყვეტილების მოლოდინი არ გვაქვს.

„მგელი მართლაც მოდის! ნაციონალური მოძრაობა იბრძვის ხელისუფლებაში მოსასვლელად“

რამაზ საყვარელიძე: „რთული, დაძაბული დღეები იქნება. არჩევნების შემდეგაც იქნება პროტესტი, შეიძლება ქუჩაშიც იყოს გამოსვლები არჩევნების გაყალბების გაპროტესტების მოთხოვნით“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ამერიკის ელჩი არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე საუბრობს. რამდენად ხედავთ საფრთხეს, რომ ასე განვითარდეს მოვლენები და მძიმე რეალობის წინაშე აღმოვჩნდეთ?

– მე ვფიქრობ, კელი დეგნანის ეს განცხადება ნაკარნახევია იქიდან, რომ თავად ამერიკა საუბრობს რუსეთის ჩართვაზე მათ არჩევნებში. თუნდაც, ევროპის ქვეყნების არჩევნებში რუსეთის როლზე. ბოლო ტენდენცია, რომ რუსეთი თავის პოლიტიკურ ინტერესებს სხვადასხვა ქვეყნის არჩევნებში უკანონო ჩარევებით ახორციელებს, ეს ახალი ამბავი არ არის.

მით უფრო, საქართველოსნაირ ქვეყანაში ბევრად უფრო ადვილი იქნება ასეთი ჩარევები. რამდენიმე ხნის წინ „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთიდან დაფინანსებასთან დაკავშირებით კითხვა გაჩნდა და აუდიტის სამსახურმა გამოძიება დაიწყო. ასევე, ირაკლი კობახიძემ განცხადება გააკეთა, რომ რუსულ საქმეს აკეთებენ „ნაციონალური მოძრაობა“ და „პატრიოტთა ალიანსი“. ამით კობახიძემ ეს ორი პარტია გაათანაბრა. მე ვიტყოდი არა მხოლოდ რუსეთთან მიმართებით, არამედ ზოგადად.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში რუსული პოლიტიკის გამტარებელი შეიძლება ბევრი აღმოჩნდეს და არა მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსი“.

„ნაციონალური მოძრაობა“ პირიქით სდებს



ბრალს „ქართულ ოცნებას“ რუსული ინტერესების გატარებაში. თუმცა, ლოგიკური ჯაჭვი ირღვევა ამ შემთხვევაში, თუ ასეა, მაშინ რუსეთი რატომ ჩაერევა არჩევნებში?! რუსეთი დესტრუქციული უნდა იყოს იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც მას არ აწყობს. თუ ხელისუფლება რუსეთისთვის კომფორტულია, მაშინ რატომ უნდა ჩაერიოს არჩევნებში?! თან დასავლეთის მიმართულებით ძალიან ბევრი ლოგიკური ნაბიჯი გადაიდგა, რომელიც ნატოს წევრობით უნდა დასრულდეს ძალიან ბევრი დასავლელი პოლიტიკოსის მოწოდებით.

– თუმცა, ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით ჩვენ ისევ გაურკვევლობაში ვართ და ამ მიმართულებით კითხვები არის.

– დიახ, მაგრამ მე აქ უფრო ბიზნესასპექტებს ვხედავ. ეს არ არის მხოლოდ წმინდა წყლის პოლიტიკური პროექტი. აქ, ბიზნესიც არის ჩართული. ამიტომ, სასურველია ბიზნესსექტორის შეფასებებიც, ჩვენ მხოლოდ პოლიტიკურ შეფასებებს ვისმენთ. ეკონომიკური ნაწილიც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

– ისევ ირაკლი კობახიძის განცხადებას რომ დავუბრუნდეთ, ელოდით „პატრიოტთა ალიანსისა“ და მიხეილ სააკაშვილის გათანაბრებას? „ოცნება“ ისევ იგივე სცენარით თამაშობს – მგელი მოდის?

– თუ ამ შესაძლებლობას მისცემს მიხეილ სააკაშვილი, რატომ არ გამოიყენებს?! ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, მით უფრო არჩევნების წინ, როდესაც არჩევნები აქვს მოსაგები, მიმართავს ასეთ ხერხს. მე თუ არ ამირჩევთ, ის ცუდი მოვა! თუნდაც, ამერიკაში ტრამპი და ბაიდენის კამპანია ნახეთ, ორივე ერთმანეთს, როგორც საფრთხობელას, ისე წარმოაჩენს.

მეორე მხრივ, მგელი მართლაც მოდის! რა, ნაციონალური მოძრაობა არ იბრძვის ხელისუფლებაში მოსასვლელად და მხოლოდ „ქართული ოცნება“ აბრალებს?! ამდენად, მხოლოდ პიარსვლად ვერ შევაფასებდი ამ რიტორიკას. ანუ მხოლოდ ხელოვნურ, საიდანღაც მოტანილ სცენარად ვერ განვიხილავთ. ეს არის რეალობა და ამ რეალობას იყენებს „ქართული ოცნება“.

– უკრაინა-პოლონეთის საზღვართან განვითარებული მოვლენები შეიძლება ოქტომბრის ბოლოსთვის საქართველოს საზღვართან ვიხილოთ?

– არა მგონია, სააკაშვილმა უკვე გადაიფიქრა საქართველოში ჩამოსვლა. რომც ჩამოსულიყო, მე მაინც მგონია, განსხვავებულ სურათს ვიხილავდით, ვიდრე უკრაინა-პოლონეთის საზღვართან განვითარდა. სააკაშვილს იქ მხოლოდ მომხრეები დახვდნენ. აქ, არა მხოლოდ მომხრეები, არამედ მოწინააღმდეგეებიც საკმაოდ დახვდებოდნენ. სააკაშვილს საქართველოს საზღვართან გაცილებით მეტი მოწინააღმდეგეთა რიცხვი დახვდება, ვიდრე მომხრეთა. არ გამოვრიცხავ, რომ წინასაარჩევნოდ ასეთ ავანტიურას თავი აარიდა. თუნდაც, ვარშალომიძეს ძალიან მოკრძალებული შეხვედრა მოუწყვეს.

ამიტომ, სააკაშვილი საქართველოში არა მხოლოდ იმიტომ არ ბრუნდება, რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოებაა დაწყებული, არამედ მოსახლეობასთან, ხალხთან აქვს მას პრობლემები. მიიღებს კი ხალხი?! ეს კითხვა სერიოზულად დგას.

– როგორ ფიქრობთ, როგორ ჩაივლის ეს არჩევნები? შეიძლება ასე მშვიდად ჩაიაროს თუ მოახლოებისას მაინც დაიძაბება მდგომარეობა?

– სავარაუდოდ, დაიძაბება. იქნება მცდელობა, ამა თუ იმ ჯგუფმა დარღვევებისკენ უბიძგოს ხელისუფლებას, სამართალდამცავებს, რომ ეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა დააფიქსირონ. სავარაუდოა დარღვევები მართლაც იყოს. რთული, დაძაბული დღეები იქნება. არჩევნების შემდეგაც იქნება პროტესტი, შეიძლება ქუჩაშიც იყოს გამოსვლები არჩევნების გაყალბების გაპროტესტების მოთხოვნით. თუმცა, დიდი, გარდამტეხი პოლიტიკური პროცესები, მეეჭვება, ქვეყანაში რომ განვითარდეს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ოცნება“ მოსყიდვას და დაშინებას ისევ გამოიყენებს“

გოგი წულაია: „იმაზე, რომ არჩევნების დროს ხმები არ უნდა მიიტაცო და უნდა დაიცვა, ხელმოწერები საჭირო არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

პარტიები წინასაარჩევნო რეჟიმზე გადავიდნენ. წინასაარჩევნო სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატს ამ პარტიიდან გოგი წულაიას.

– პანდემიის ახალი ტალღების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის 31 ოქტომბერს დანიშნულ არჩევნებზე მაინც ბევრი უცხოელი დამკვირვებელი ჩამოვა. გიჩენთ ეს იმედს, რომ არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იქნება?

– უცხოელი დამკვირვებლების ჩამოსვლას, ერთი მხრივ, მივესალმები. მეორე მხრივ, ეს მამწუხრებს. მიჩნდება სირცხვილის გრძნობა იმის გამო, რომ ჩვენ, ქართველები, ვერ ვაგვარებთ პრობლემებს დამოუკიდებლად, სხვების ჩარევის გარეშე. ჩვენ არ შეგვიძლია ერთმანეთთან დალაპარაკება და ნორმალური არჩევნების ჩატარება – პარტია პარტიას ვერ უთანხმდება, ხელისუფლება – ოპოზიციას. ეს ერის ტრაგედიაა. ამერიკელები, გერმანელები, ფრანგები, ბელგიელები, დანიელები და სხვები ჩვენზე მეტად არიან დაინტერესებული დემოკრატიით საქართველოში.

– პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, როცა არჩევნების ოფიციალურად დანიშვნის გადაწყვეტილება გამოაცხადა, თქვა, რომ საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა სამართლიანი არჩევნები და ჩვენ ეს ტრადიცია უნდა გავაგრძელოთ. ხომ არ არის ეს იმის აღიარება, რომ სხვა ყველა არჩევნები მეტნაკლებად უსამართლო და გაყალბებული იყო?

– კარგია, რომ პრეზიდენტმა არჩევნები მაინც დანიშნა კანონის ფარგლებში. იმ არჩევნებით ხელისუფლებაში მოვიდა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“. ვეთანხმები სალომე ზურაბიშვილს იმაში, რომ 1990 წლის არჩევნები სამართლიანი იყო. სხვა არჩევნები, ჩემი აზრით, ხინჯით ტარდებოდა ან ყალბდებოდა. როცა პრეზიდენტი ამ თემას ეხება, ბარემ ისიც ახსენოს, რომ იმ დროს არჩეული ხელისუფლება ძალით დაამხეს და ეს ისევ გამოუძიებელია.

– არჩევნებზე თუ მის წინ ამომრჩეველზე ზემოქმედების ბევრი ხერხი და მანიპულაცია გამოიყენება. ახლა რას მოელით?

– „ქართული ოცნება“ ბევრ ფოკუსს ხმარობს. არჩევნები ყალბდება არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ, მთელი პროცესის განმავლობაში. ვფიქრობ, რომ „ოცნება“ მოსყიდვას და დაშინებას ისევ გამოიყენებს. ყველა უკანონო მეთოდს შეიძლება გასავალი არ ჰქონდეს, ვინაიდან ბევრი უცხოელი მეთვალყურე გვეყოლება. ამ თვალსაზრისით მათ ჩამოსვლას მივესალმები. სამწუხაროა, რომ ჩვენ დამოუკიდებლად ვერ ვახერხებთ თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. მოსყიდვა უკვე იყო. ჩვენ ვნახეთ კიტრი-პამიდვრის დარიგება ქობულეთში. ხელისუფლება ცდილობს საკუთარ დამსახურებად მიითვალოს სოციალური დახმარებები. არადა, ეს სასაცილოა.

– რატომ?

– არჩევნების წინ უნდა გახსენებოდათ, რომ ბევრი სტუდენტი ვერ იხდის სწავლის საფასურს და რომ ბევრ ბავშვს შია? 17 წლამდე ბავშვებს ურიგებენ 200-200 ლარს. ეს ოჯახების მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს. 200 ლარი უცებ დაიხარჯება, სიღატაკე კი დარჩება. ესაა წყალს გატანებული თანხები. ამას ჯობდა, ამ ბავშვების მშობლები დაესაქმებინათ. 2012 წლიდან 8 წელიწადი გავიდა და ხელისუფლებას ხელი უნდა შეეწყო სამუშაო ადგილების შექმნისათვის.

– ხმების დაცვის მემორანდუმს არ შეუერთდა თქვენი პარტია?

– არა. დიდი ხანია, პოლიტიკაში ვარ. უმრავი გაფორმებული შეთანხმება და მემორანდუმი მინახავს. ისინი ბევრჯერ დარღვეულა, მისი ხელმომწერი პოლიტიკოსები კი აქეთ-იქით გაფანტულან. იმაზე, რომ ამომრჩევლის ხმები არ უნდა მიიტაცო და ხმები უნდა დაიცვა, ხელმოწერები საჭირო არ არის. ბიბლიური ჭეშმარიტებაა, რომ პირველად იყო სიტყვა. ადამიანის სიტყვა უნდა ფასობდეს. კაცის სიტყვა და მოქმედებაა მთავარი, მემორანდუმი კი არა! არჩევნები არ უნდა გაყალბდეს, თუ ხმა დასაცავია, უნდა დაიცვა. ამას არ უნდა დოკუმენტების გაფორმება. ასეთი დოკუმენტები არ სრულდება ხოლმე.

– თქვენი აზრით, სად წავა „ქართული ოცნებით“ გაწბილებული ადამიანების ხმები?

– ეს ხმები ნამდვილად არ წავა ნაციონალური მოძრაობის ან „ევროპული საქართველოს“ მხარეს. ისინი წამოვა „თავისუფალი საქართველოსკენ“ და ჩვენნაირი ძალებისკენ.

თინა ბოკუჩავა: „სააკაშვილი ცვლილებების ავანგარდში იქნება“

– ცვლილებების დროა და ამ ცვლილებების ავანგარდში იქნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი, ამას ვერ ინელებთ და იმიტომ ახსენებთ მას ასე სიძულვილით 8 წლის თავზე.

ასე მიმართა საპარლამენტო უმრავლესობას ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თინა ბოკუჩავამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რითაც მიხეილ სააკაშვილის შესახებ მმართველი გუნდის წარმომადგენელთა განცხადებებს გამოეხმაურა.

მისი თქმით, ხელისუფლება უკვე 8 წელია ერთი და იმავეს საუბრობს და ქვეყნის განვითარების არანაირი ხედვა არ გააჩნია.

– ვხედავ, ძალიან გულზე მოგხვდათ მიხეილ სააკაშვილის ბოდიში პუტინის პაიკებს, როცა გავეშებული საუბრობთ ყოველ მეორე გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილზე 8 წლის თავზე და თქვენი ხელისუფლების ბოლო წელს, დღესაც ვისმენთ აბსოლუტურად იგივეს. ვერ ინელებთ მიშას გულწრფელობას, რადგან თავად არ შეგიძლიათ გულწრფელობა, ვერ ინელებთ მიშას აღმშენებლობას, რადგან თავად აღმშენებლობის უნარი არ გაგაჩნიათ. ვერ ინელებთ მიშას ხედვას უკეთესი საქართველოსი, რადგან თავად არანაირი ხედვა არ გაგაჩნიათ, სიძულვილის, ღვარძლის, შურის და ბოღმის გარდა.

8 წლის თავზე და თქვენი ხელისუფლების დასასრულს ვისმენთ ზუსტად იგივეს, რასაც ვისმენდით დეჟავუდ ქცეულ 2012 წლის საპარლამენტო სხდომებზე. ტრიალებთ უსასრულო და უსუსურ, მანკიერ წრეზე სიძულვილის და ზიზღის, რომლითაც ხალხი დაიღალა.

ქვეყანაში, სადაც ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბეშია და რეგიონში ყველაზე მეტი ადამიანი შიმშილობს, მილიარდერი ივანიშვილის რეჟიმი ხალხს სიძულვილით კვებას სთავაზობს. ამიტომ, თქვენი აგონიური სიძულვილის ნიაღვრის პასუხის ღირსნი დღეს აღარ ხართ. თქვენი დრო ამოიწურა, თქვენ ხალხმა ორჯერ მოგცათ შანსი და თქვენ ეს შანსი გაუშვით სიძულვილში, ღვარძლში და ამასობაში ჩამოშალეთ სახელმწიფო, მორღვეულია ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, ადამიანებს აღარ გააჩნიათ არანაირი უსაფრთხოების განცდა, – აღნიშნა თინა ბოკუჩავამ.

ის ასევე გამოეხმაურა საარჩევნო კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებს. ბოკუჩავის თქმით, ივანიშვილს კვლავაც ჰგონია, რომ ამომრჩეველთა ნაწილს მოისყიდის, ნაწილს კი დააშინებს, მაგრამ ხალხი მისი „ტრიუკებით უკვე დაიღალა“.

– ვითომ რომ ამკაცრებთ სანქციებს, საარჩევნოდ იძულებისა და დაშინებისთვის, მე მაინტერესებს, უკვე არსებული სანქციებით რატომ არავინ დაისაჯა წინა არჩევნებზე იძულებისა და დაშინებისთვის, რატომ არ დაისაჯა გიორგი გახარია ია კერზაიას სიკვდილამდე მიყვანისთვის, რატომ არ დაისაჯა ბიძინა ივანიშვილი იმისთვის, რომ დააანონსა უზარმაზარი მოსყიდვის სქემა და ამით ეცადა არჩევნების შედეგის შეცვლას.

იმიტომ არ მიეცნენ ეს ადამიანები პასუხისგებაში, რომ დღეს ჩვენ სახელმწიფო აღარ გვაქვს, დღეს დამნაშავეები პასუხისგებაში არ ეძლევიან, რადგან არჩევნები ივანიშვილს აღიქვამს როგორც მის მორიგ ტრიუკს, – განაცხადა ბოკუჩავამ.

ირაკლი ღარიბაშვილი ნაციონალებს დაემუქრა

„ამ მოღალატე, მტრულ ძალას არჩევნებზე გავცემთ პასუხს“

– არავითარი გაყოფილი „ევროპული საქართველო“ და „ნაცმოძრაობა“ არ არსებობს. ეს არის ერთი გუნდი ბოკერიას, სააკაშვილის და მთლიანად „ნაცმოძრაობის“, რომელმაც ყველაზე დიდი, უნიკალური დავალება შეუსრულა რუსეთის ხელისუფლებას, რუსული ჯარი შემოიყვანა და დაიკანონა მათი ოკუპაცია საქართველოში.

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ამ ძალას პასუხი არჩევნებზე გაეცემა.

– სპეკულაციები ისმის ამ ვითომ ოპონენტების მხრიდან. საბოლოო ჯამში ეს არის კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“. არავითარი გაყოფილი „ევროპული საქართველო“ და ცალკე „ნაცმოძრაობა“ არ არსებობს. ეს არის საერთო, ერთი გუნდი ბოკერიას, სააკაშვილის და მთლიანად „ნაცმოძრაობის“, რომელმაც ყველაზე დიდი, უნიკალური დავალება შეუსრულა რუსეთის ხელისუფლებას, რუსული ჯარი შემოიყვანა და დაიკანონა მათი ოკუპაცია საქართველოში.

ეს არის მტრობა, ღალატი. ღალატი არის ის, რომ მათ ჩვენ ქვეყანას დააკარგვინეს ტერიტორიები, ჩვენი ათასობით მოქალაქე გახდა დევნილი, კოდორი, უამრავი სოფელი და ა.შ. ამ მოღალატე მტრულ ძალას 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებზე გავცემთ პასუხს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

გიგი უგულავა: „სასამართლო აქილევსის ქუსლი იყო ჩვენთვის, „ოცნებამ“ კი მონსტრების კორპორაციად აქცია“

– როდესაც პოლიტიკური და იურიდიული ელიტა ვერ მიდის წინ, დგება დრო, ხალხმა აიღოს მართლმსაჯულება, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ ფოთში, პარტიის ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციაზე განაცხადა.

როგორც უგულავამ აღნიშნა, სასამართლო, რომელიც აქილევსის ქუსლი იყო წინა ხელისუფლებისთვის, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მონსტრების კორპორაციად აქცია.

– არ იქნება ქვეყანაში კეთილდღეობა, არ იქნება ქვეყანაში მშვიდობა, არ იქნება ქვეყანაში თავისუფლება და განვითარება, თუ არ იქნება ერთი და მთავარი წინაპირობა და ეს გარდამტეხი ცვლილებები პირველ რიგში ამას ეხება იმიტომ, რომ თუ გინდა იყო სრულფასოვანი ადამიანი ქვეყანაში, თუ დაგჩაგრავს სისტემა, უნდა იცოდე, რომ არსებობს ერთი ადგილი, სადაც მიხვალ და სამართალს იპოვი.

ეს არის სასამართლო. 30 წელია, ჩვენ წრეზე ვბრუნავთ. სასამართლო ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ ააშენა. სასამართლო, რომელიც აქილევსის ქუსლი იყო ჩვენთვის, მონსტრების კორპორაციად აქციეს ამათ; ამან ჩამოშალა მთლიანად მართლმსაჯულება და წესრიგი.

როგორც იცით, მე ზუგდიდში ვიყრი კენჭს და ის კვლავ კონტრაბანდამ და კრიმინალმა წაიღო. ყველაზე უფრო მგრძნობიარე კონტრაბანდის და კრიმინალის წინააღმდეგ სწორედ ზუგდიდია, რადგან 90-იანი წლების სიმძიმე სწორედ ზუგდიდმა იწვნია.

მაგრამ სასამართლო სჭირდება თითოეულ თქვენთაგანს და როდესაც პოლიტიკური და იურიდიული ელიტა ვერ მიდის წინ, დგება დრო, რომ ხალხმა უნდა აიღოს მართლმსაჯულება. ხართ თუ არა თქვენ მეგობრებო მზად, რომ თითოეული თქვენგანი ნაფიცი მსაჯული გახდეს სასამართლოში? ამ გარდამტეხი ცვლილებების მერე პირველი, რაც უნდა გავაფართოვოთ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტია.

ეს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გააკეთა, რადგან სასამართლო ყველას ჯიბეში უნდოდა და ეს იყო ჩვენი შეცდომა, რომელზეც ხალხს ბოდიში უნდა მოვუხადოთ, – განაცხადა უგულავამ.

ლევან გოგიჩაიშვილი: „მიშასი არ შემშინებია და კობახიძის შემეშინდება?!“

– ირაკლი კობახიძე მართავს ძალიან დიდ არალეგალურ ფულს „ქართული ოცნების“ ბიუჯეტში.

ამის შესახებ ფრაქცია დამოუკიდებელი დეპუტატების წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა ჟურნალისტებთან საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

მისი თქმით, ის ყველგან, სადაც „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველთან შეხვედრები ექნება, მივა და მოქალაქეებს აუხსნის, რომ „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალური მოძრაობიდან“ პორტირებული და მურუსიძის მეგობარი ადამიანები არიან.

– ირაკლი კობახიძე ჩემთვის არის აკო მინაშვილი, ღმერთმა მოახმაროს „ქართულ ოცნებას“ ირაკლი კობახიძე. რაც შეეხება კამპანიას, თუ „ქართული ოცნება“ ჩემთან არ დაჯდება დებატებში, სადაც იქნება „ქართული ოცნების“ შეხვედრები, მე ვაპირებ მისვლას. მე ვაპირებ ამ ამომრჩევლებს, რომლებიც 1-ელი ოქტომბრის ერთგულია, მივიდე და დავანახო, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატებიდან 60% არის „ნაციონალური მოძრაობიდან“ პორტირებული, დანარჩენი 40% – მურუსიძის მეგობრები, შესაბამისად, კამპანია იქნება ისეთი, როგორსაც მე დავგეგმავ. რაც შეეხება კობახიძეს და „ქართულ ოცნებას“, მიიღებს იმას, რაც დათესა.

შესაბამისად, კამპანიას განვსაზღვრავთ ჩვენ. ეს იქნება ეთიკური, აქტიური და შევეცდებით გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ამომრჩეველთან მივიტანოთ ჩვენი ხმა. როცა იქნება გიორგი ვოლსკის შეხვედრა დიდუბე-ჩუღურეთში, მე პირადად მივალ და ავუხსნი მოქალაქეებს, რომ გიორგი ვოლსკი არის ჩინჩალაძის მეგობარი და რამდენ ხმას წამოიღებს ვოლსკი დიდუბე-ჩუღურეთიდან, მაგას გვანახებს 31 ოქტომბერი, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

ამასთან, გოგიჩაიშვილმა ირაკლი კობახიძე კორუფციაში დაადანაშაულა.

– ირაკლი კობახიძე არის კორუმპირებული, ირაკლი კობახიძე ყოველდღე დანაშაულს ჩადის, როცა თანხებს აწერს ხელს, რომელიც არის არალეგალური, მუქარა რა არის? რა არის ამაში მუქარა, როცა ამომრჩეველთან მიდის ერთი ადამიანი და იგივე ამომრჩეველთან მიდის მეორე ადამიანი. ვინმეს როგორ უნდა დავემუქრო? პოლიცია მაგათ ჰყავთ, უშიშროება, იარაღიანი ხალხი, კორუმპირებული ჩინოვნიკები მაგათ ჰყავთ. მე როგორ უნდა დავემუქრო ირაკლი კობახიძეს? ეგ დადის დაცვით. მე არ დავდივარ დაცვით, შეიძლება მე დამემუქროს ირაკლი კობახიძე იმ იარაღიანი ხალხით, რომელიც მაგას დაყვება, იმ ზონდერ ჯგუფებით, რომლებსაც ისინი ამუშავებენ და ვის დანაშაულზეც თვალს ხუჭავენ. მე და გედი ფოფხაძე როგორ უნდა დავემუქროთ მაგათ, ან ვახო გომელაურს, ან ბიძინა ივანიშვილს? ისინი ჩვენ გვემუქრებიან, რადგან მათ მხარეს დგანან იარაღიანი ხალხი როგორც ოფიციალურად, ასევე არაოფიციალურად, დგანან კრიმინალები, რომლებიც მათ აძლევენ კარტ-ბლანშს, რომ ითარეშონ არჩევნებზე. შეგიძლიათ მოიკითხოთ, როგორ მფარველობენ კრიმინალებს, როგორ რთავენ საკუთარ აგენტურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტურაა ჩართული არჩევნებზე. ჩვენ ვერავის დავემუქრებით, ჩვენ გვემუქრება ხელისუფლება, მაგრამ მათი მუქარის არ გვეშინია, არ მეშინოდა თავის დროზე სააკაშვილის მუქარის და, მით უმეტეს, ირაკლი კობახიძის მუქარის არ შემეშინდება, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

სუსის თანამშრომელს კოვიდ 19 დაუდასტურდა

38 თანამშრომელი კარანტინში გადაიყვანეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ თანამშრომელს კორონავირუსი დაუდასტურდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუს-ში განუცხადეს, ამ პირთან დაკავშირებული უწყების 38 თანამშრომელი კარანტინშია გადაყვანილი.

მათ პირველადი ტესტირებით კორონავირუსი არ უდასტურდებათ.

უწყების ცნობით, მიმდინარეობს კონტაქტების დადგენა.

ამასთან, უცნობია თავად უწყების თანამშრომლის დაინფიცირების წყარო.

„გიორგი შაქარაშვილი მდინარეში გადაგვივარდა, დედა მ*** და დაიხრჩოო“

რა წერია კობა ჩიტიძის სკანდალურ ჩვენებაში

გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულის თანამესაკნემ სკანდალური ჩვენება მისცა.

რუსთავი 2-ის მიერ მოპოვებულ დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი გიორგი შაქარაშვილის მკვლელობა, რომელზეც, ჩვენების მიხედვით, პატიმრობაში მყოფმა ნიკოლოზ რევაზიშვილმა თანამესაკნესთან ისაუბრა.

ჩვენება 14 აგვისტოთი თარიღდება, კობა ჩიტიძე, რომელიც რევაზიშვილის თანამესაკნეა, ჰყვება 18 ივნისის ღამის დეტალებს, რომლის შესახებ მას რევაზიშვილმა უამბო.

„ავედით ცენტრალურ გზაზე, არაგვის ხიდთან დავინახეთ 3-4 ბიჭიო. მათ დანახვაზე ვახტანგ ჩიქოვანმა იყვირა, ესენი არიან ამათი დედა ****. ... მძღოლის გარდა ყველანი გადავედით მანქანიდან და გავიქეცით იმ ბიჭების მიმართულებითო. ისინი ჩვენ დანახვაზე გაიქცნენ, გადაჭრეს გზა და ხიდის ქვემო ჩასასვლელისკენ გაიქცნენო. ჩვენც იმ ადგილას რომ მივუახლოვდით, შევამჩნიე, რომ ერთ-ერთი ბიჭი იქვე ბუჩქებში იმალებოდა და მე ამ ბიჭთან დავრჩი...

დევნის დროს ერთი ბიჭი არაგვის ხიდის ქვეშ გამავალი გზისკენ გაიქცა. მას უკან მიყვნენ აჩო გაგნიძე, ვახტანგ ჩიქოვანი, ზ.ხ. და ა.ქ. დაახლოებით 15 -20 წუთის შემდეგ ისინი უკან დაბრუნდნენ და თქვეს, რომ დედა მ*** ამის შემდეგ ჩვენ ჩავსხედით მანქანაში და წამოვიყვანეთ თბილისის მიმართულებითო. მანქანაში ძალით ჩავსვით ამირხანაშვილი, თუმცა არ გვიცემია.

აჩო გაგნიძემ მას სიტყვიერად ჩხუბი და გინება დაუწყო, რაზეც ამირხანაშვილმა უთხრა, მე არაფერ შუაში ვარო, ამირხანაშვილი შეშინებული იყო, გზაზე რამოდენიმეჯერ პირჯვარი გადაიწერა.

... შემდეგ, გაგნიძემ მანქანაში მოჰყვა, რომ დავეწიეთ იმ ბიჭს, ჯერ ხელის გულები დავარტყიო, ორივე თვალის მიდამოში და თავი ჩავარტყი სახეში. შემდეგ, მუშტი ჩავარტყი და ტუჩი გაუსკდაო, ამის შემდეგ ბიჭი წაიქცა და ვახტანგ ჩიქოვანმა, ზ.ხ.-მ ა.ქ.-მ და მე წიხლები ვურტყითო.

აჩო გაგნიძეს უთქვამს, რომ ცემის პროცესში ბიჭი გაგვექცა მდინარისკენო, უკან მიყოლიან ყველანი, როდესაც მდინარეში გადაგვივარდა ეს ბიჭი და დედა მ*** და დაიხრჩოო,“ – წერს რევაზიშვილის თანამესაკნე ჩიტიძე.

ამავე ჩვენების მიხედვით ირკვევა ჩანთის შესახებ დეტალები.

„დევნის დროს ბიჭს დაუვარდა პატარა ჩანთა, რომელიც გავხსენით და შიგნით მხოლოდ სავარცხელი და თმის ჟელე ვნახეთო. ა.ქ.-მ ჩანთა იქვე არაგვის ხიდის ბეტონის საყრდენზე დადო იმიტომ, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს ჩვენზეო, იფიქრებენ, ჩანთის პატრონი წყალში გადახტაო.

... აჩო გაგნიძემ თქვა, ეს ამბავი რომ გაბაზრდეს, მთქმელს და მთელ მის ოჯახს დედა მ***. რაზეც ჩიქოვანმა დაამატა, რა უნდა გაბაზრდეს, ვინც ამას იტყვის, ზონაში ვერსად გაჩერდება, ბოზის სახელი ექნებაო, აჩო გაგნიძეს ჩიქოვანისთვის უთქვამს, ხომ არ დავრჩით საბურთაღოელების ვალში, ხომ ავუღეთ აბაროტი, ამათი დედა მ***“ – ნათქვამია ჩიტიძის ჩვენებაში.

ჩვენებაში ასევე აღწერილია, როგორ უკავშირდებოდა ბრალდებული ნიკა რევაზიშვილი საკუთარ ოჯახის წევრებს.

ასევე ჩვენებაში ჩანს, რომ რევაზიშვილის მეუღლემ იცოდა 18 ივნისის ტრაგიკული ღამის დეტალები.

„მან ჩამაწერინა მამამისის ნომერი და მთხოვა, მის ნაცვლად დამერეკა მამამისისთვის, მამამისთან დამბაბარა, რომ ნიკას მეუღლე ანი ჩამოეყვანა კასპიდან, რადგან მის მეზობელ გოგოს კასპში, დიკოს, ქმარი ან თავად მუშაობდა პოლიციაში, ან ჰქონდა ახლო ურთიერთობა პოლიციასთან, რის გამოც ნიკას არ უნდოდა, ანი ამ ხალხის სიახლოვეს ყოფილიყო.

ნერვიულობდა, რამე არ წამოსცდეს ჩემ შესახებ და შემდეგ ეს პოლიციამ არ გაიგოსო... შემდეგ მამამისთან დამბარა, მოსულიყო შემთხვევის ადგილიდან ქამრით წამოსაყვანად ბიჭთან, გვარად ამირხანაშვილთან, იმ მიზნით, რომ ამირხანაშვილს მიეცა ისეთი ჩვენება, რომელიც გამორიცხავდა ამირხანაშვილისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტს.

ანუ ამირხანაშვილს უნდა მიეცა ჩვენება, რომ ნიკა რევაზიშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა შემთხვევის ადგილიდან ამირხანაშვილი ამ უკანასკნელის სურვილით წამოიყვანეს და არა იძულებით. თუმცა ბოლოს ნიკა რევაზიშვილმა გადაიფიქრა ამ დანაბარების გადაცემა და მითხრა, რომ ამის შესახებ მამამისისთვის არ მეთქვა, რადგან თავად უწერდა ადვოკატს წერილებს, გამყოფ მინაზე ადებდა და ამ გზით ატყობინებდა მამამისისთვის გადასაცემ ინფორმაციას“ – ნათქვამია რევაზიშვილის თანამესაკნის ჩვენებაში.

„კურიერმა“ ასევე გაასაჯაროვა რევაზიშვილის წერილი, რომელშიც, სადაც ის აცხადებს, რომ თანამესაკნის ჩვენება ტყუილია და ამ ბრალდებებს უარყოფს.

„დანაშაულის ორგანიზება ვერ მტკიცდება“

შაქარაშვილის საქმეზე არასრულწლოვნების სასამართლოზე 7 მოწმე დაიკითხა

გუშინ, 1 სექტემბერს, მცხეთის რაიონულ სასამართლოში გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებული არასრულწლოვნების სასამართლო პროცესი გაიმართა.

სასამართლო პროცესს პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდნენ არასრულწლოვანი ზ.ხ. და მისი ადვოკატი გიორგი გელხაური.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე 7 მოწმე დაიკითხა, მათ შორის, 18 ივნისს აგარაკზე მყოფი ე.ხ., გამომძიებლები და ექსპერტები, ასევე სხვა მოწმეები, რომლებიც გადაადგილებაში დაეხმარნენ არასრულწლოვან ლ.შ.-ს და ნ.ხ.-ს.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ არასრულწლოვანი გ.მ.-ს ადვოკატმა, როსტომ კერესელიძემ განაცხადა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვისას დაფიქსირდა რამდენიმე მტკიცებულება, რომელიც საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით იქნა შედგენილი.

– წარმოდგენილი იყვნენ მოწმეები, კერძოდ, პოლიციელები, ექსპერტ-კრიმინალისტები, ასევე ის შემთხვევითი ადამიანები, ვინც წამოიყვანა ავტობანიდან ამ საქმეში მონაწილე ორი პირი. ვერც ერთის მხრიდან ვერ იქნა გაჟღერებული ვერანაირი ინფორმაცია ამ დანაშაულში მონაწილეობის შესახებ და, მით უმეტეს, ამ დანაშაულის ორგანიზების შესახებ.

დაფიქსირდა რამდენიმე მტკიცებულება, რომელიც საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით იქნა შედგენილი, კერძოდ, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საპროცესო ოქმები შედგენილი იყო ღამის საათებში, რაც დაუშვებელია, თუ ეს გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენს, ეს პირდაპირ არის კანონის დარღვევა და წესით არ უნდა იყოს გაზიარებული სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, – აღნიშნა როსტომ კერესელიძემ.

აღნიშნული საქმის პროკურორის, ნანა გუგუტიშვილის განცხადებით, ადვოკატის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება და ასეთ ფაქტს ადგილი „ნამდვილად არ ჰქონია“.

– მოგეხსენებათ, რომ აღნიშნულმა სისხლის სამართლის საქმემ გაიარა წინასასამართლო სხდომის კონტროლი, შესაბამისად, დაცვის მხარეს არც ერთ წარმომადგენელს არ ჰქონია მტკიცებულება ამ საგამოძიებო მოქმედებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობასთან დაკავშირებით. საქმის მოცულობიდან გამომდინარე, საჭირო იყო თითოეული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობა, – აღნიშნა ნანა გუგუტიშვილმა.

„არჩილ გაგნიძემ ციხეში ტანსაცმელი დაკარგა“

ბრალდებულ არჩილ გაგნიძის ადვოკატების თქმით, 29 აგვისტოს, შაბათს, არასამუშაო დღეს, ისე, რომ მათთვის არავის შეუტყობინებია, არჩილ გაგნიძესთან საქმის პროკურორი შევიდა, რომელიც მისგან ბრალის აღიარებას მოითხოვდა.

აღნიშნულ ფაქტს კატეგორიულად გამორიცხავს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას გენერალური პროკურატურის პრეს-სამსახური. მისი განმარტებით, არჩილ გაგნიძემ თავად მიმართა წერილით ციხის ადმინისტრაციას და მოითხოვა საქმის პროკურორთან შეხვედრა.

წერილის საფუძველზე, 29 აგვისტოს, მასთან პროკურორი დავით ყაზარაშვილი შევიდა, თუმცა, რაკი პროცესს ადვოკატები არ ესწრებოდნენ, არჩილ გაგნიძემ პროკურორთან გასაუბრებაზე უარი თქვა:

– პროკურორსა და ბრალდებულს შორის არანაირი კომუნიკაცია არ შემდგარა. როდესაც ბრალდებულმა კარი შეაღო და ნახა, რომ ოთახში ადვოკატები არ ისხდნენ, პროკურორთან შეხვედრაზე უარი თქვა. რაც შეეხება წერილს, რომელიც მან ციხის ადმინისტრაციას მისწერა, ეს წერილი ჩვენთან არის და საჭიროების შემთხვევაში, გავასაჯაროებთ“.

31 აგვისტოს, დღის ბოლოს, გენერალურმა პროკურატურამ არჩილ გაგნიძის განცხადება გამოაქვეყნა, რომელსაც ის 26 აგვისტოს №8 დაწესებულების დირექტორის სახელზე წერს და პროკურორთან შეხვედრას ითხოვს.

31 აგვისტოს არჩილ გაგნიძესთან ციხეში ადვოკატები შევიდნენ. მათ სურდათ დაეზუსტებინათ, რატომ იმყოფებოდა და რაზე ესაუბრა ბრალდებულს პროკურორი. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მათ რამდენიმე საათი დაჰყვეს.

ვასილ მამულაშვილი, ადვოკატი, რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ არჩილ გაგნიძემ 26 აგვისტოს მართლაც მისწერა წერილი ციხის ადმინისტრაციას, სადაც ის პროკურორთან შეხვედრას ითხოვდა, თუმცა, მისი თქმით, არჩილ გაგნიძემ ეს კონკრეტული წერილი პროკურორთან სრულიად სხვა მიზეზით გააგზავნა. ადვოკატი ამბობს, რომ არჩილ გაგნიძეს სურდა, პროკურორისთვის დაკარგული ტანისამოსის შესახებ მიეწოდებინა ინფორმაცია, მაგრამ პროკურორმა ლაპარაკი სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა.

– ჩვენ ველაპარაკეთ არჩილ გაგნიძეს. მას დიდი ხანია პროკურორთან სურს შეხვედრა, რადგან შეკითხვები აქვს საქმესთან დაკავშირებით. ამასობაში, მეორე საკითხიც გამოიკვეთა. ციხეში დაიკარგა მისი ტანსაცმელი. როდესაც ოჯახის წევრებმა ახალი ტანსაცმელი მიუტანეს, ძველი ტანსაცმელი გაქრა. ციხის ადმინისტრაცია ამბობს, რომ ნაგავი გვეგონაო, მაგრამ ფაქტია, რომ ტანსაცმელი არ ჩანს.

სწორედ ამიტომ მიმართა მან პროკურატურას. თუმცა, წერილში, მიმართვის მიზეზი არ ჩაუწერია. მხოლოდ ის დაწერა, რომ სურს პროკურორებთან შეხვედრა. შაბათს კი მასთან შევიდა პროკურორი ყაზარაშვილი და არჩილ გაგნიძის თქმით, მან უთხრა, მარტო შემოვედი, რათა გულწრფელად ვილაპარაკოთ, ადვოკატების გარეშეო. ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა ამაზე უარი თქვა. დაკარგულ ტანსაცმელზე რომ ვუთხარი, მიპასუხა, რომ ეს თემა არ მაინტერესებსო.

ძალიან ბევრ ეჭვს აჩენს ციხეში პროკურორის შაბათს შესვლა, თან ისე, რომ ამის შესახებ ადვოკატები ინფორმირებულები არ ვიყავით. უბრალოდ მოსანახულებლად ბრალდებულთან არც ადვოკატი შედის და არც პროკურორი. ისევე, როგორც ჩვენ, პროკურორიც შედის კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების საფუძველზე, რაზეც ყოველთვის დგება ოქმი, იქნება ეს გასაუბრების ოქმი, გამოკითხვის ოქმი და ა.შ. არავისთან დაურეკავთ, ისე შევიდა პროკურორი და ისე ჰქონდა მცდელობა, რომ გაგნიძისგან მიეღო ინფორმაცია, – განაცხადა ადვოკატმა მამულაშვილმა.

ამ საკითხზე სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განცხადება გაავრცელა.

„მიმდინარე წლის 31 აგვისტოს ბრალდებულ არჩილ გაგნიძის ადვოკატმა ვასილ მამულაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბრალდებულმა პენიტენციურ დაწესებულებაში დაკარგა ტანსაცმელი. ადვოკატის თქმით, „როდესაც ოჯახმა შეუგზავნა ახალი ტანსაცმელი, ძველი ტანსაცმელი დაიკარგა“.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 18 აგვისტოს ბრალდებულმა გაგნიძემ მიიღო ამანათი, რომელიც მას დადგენილი წესით მიეწოდა მისსავე საკანში, თუმცა ამანათის მიღების შემდეგ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლისთვის ბრალდებულს არაფერი გაუტანებია იმ მიზნით, რომ ამანათის შემგზავნი პირებისთვის გადაეცა. ამასთან, დღემდე, 31 აგვისტომდე, არც ბრალდებულს, არც მისი დაცვის მხარეს არ მიუმართავს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციისთვის და არ განუცხადებიათ რაიმე ნივთის დაკარგვის შესახებ. მხოლოდ 31 აგვისტოს, ადვოკატის ზემოხსენებული განცხადების შემდეგ გააკეთა თავად ბრალდებულმა განმარტება პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებთან, რომ ამანათის მიღების დღეს, 18 აგვისტოს, ამანათის მიღებიდან გარკვეული დროის შემდეგ დერეფანში პოლიეთილენის პარკში შეფუთული საცვლები (ტრუსი და მაისური) დადო და ეგონა, რომ ამ ნივთებს მის ოჯახს გაატანდნენ.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესის შესაბამისად, დახურული ტიპის პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლები გარკვეული პერიოდულობით ჩამოივლიან დაწესებულებების დერეფნებს, უღებენ საკნის კარს პატიმრებს, რათა მათ საკანში დაგროვილი ნარჩენები საკნის კართან დერეფანში დადონ (რის შემდეგაც პატიმარი დაუყოვნებლივ ბრუნდება საკანში და საკნის კარი იკეტება). შემდეგ დაწესებულების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი ჩამოივლის დერეფნებს და აგროვებს ნარჩენებს. თუ ბრალდებულის მოცემული განმარტება სიმართლეა, მის მიერ დაწესებულების დერეფანში დადებული ნივთები, სავარაუდოდ, ნარჩენებთან ერთად იქნა გატანილი დაწესებულებიდან დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, – ნათქვამია განცხადებაში.

❖ ❖ ❖

არჩილ გაგნიძის ადვოკატის, ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, შაქარაშვილის ჩანთაზე ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ ჩანთაზე შერეული ტიპის დნმ არის.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში კობაიძე განმარტავს, ჩანთაზე ამოსული დნმ არჩილ გაგნიძეს არ ეკუთვნის.

– გიორგი შაქარაშვილის ჩანთაზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად შერეული ტიპის დნმ ამოვიდა. კითხვა იყო დასმული, იყო თუ არა აღნიშნულ ჩანთაზე არჩილ გაგნიძის დნმ და აღნიშნული ექსპერტიზით დადგინდა, რომ ჩანთაზე გაგნიძის დნმ არ ამოსულა. თუ ვის ეკუთვნის იქ ამოსული დნმ, ეს უცნობია. ბრალდებულების დნმ ჩანთიდან არ ამოსულა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შაქარაშვილის ჩანთასთან შეხება არ ჰქონიათ. შერეული დნმ ნიშნავს, რომ სხვისი დნმ ამოვიდა, მაგრამ დადგენილი არ არის, ვისი, – აღნიშნა კობაიძემ.

2020 წლის 1 სექტემბრიდან მოძალადეებზე ელექტრონული ზედამხედველობა წესდება

2020 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესაძლებლობას, თუ სახეზეა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. ძალადობის განმეორების რისკის შეფასება ხორციელდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ინტეგრირებული კითხვარის საფუძველზე. ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება ძალადობის განმეორების რისკის დონე, მოძალადის მიერ წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა, ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტი და სხვა გარემოებები.

ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით, რომელიც არ აღემატება 1 თვეს.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისთვის აუცილებელია მსხვერპლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შემთხვევაში მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური უმაგრდება. აღნიშნულის შედეგად ხდება მოძალადის მსხვერპლთან და წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიახლოების რეალურ დროში კონტროლი.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების საკითხი ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. პოლიციის მიერ გამოცემული ოქმი, გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. მოძალადის ვირტუალურ მონიტორინგს უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

მოძალადის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა. მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისათვის თავის არიდება იწვევს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იქნა ინიცირებული, რომლის მიზანს წარმოადგენდა მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის გარანტიების გაზრდა და დახვეწა. კანონპროექტის ამოქმედებამდე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ხელშეწყობით გაზიარებული იქნა უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და ექსპერტული ჩართულობით მომზადდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. სისტემის დანერგვის მხარდაჭერის მიზნით, UN WOMEN-მა, შინაგან საქმეთა სამინისტროს 100 ელექტრონული მოწყობილობა (სამაჯური) და შესაბამისი ინფრასტრუქტურა გადასცა.

მინსკში სპეცრაზმმა სტუდენტების აქცია დაშალა

სპეცრაზმმა მინსკის ცენტრში სტუდენტების საპროტესტო აქცია დაშალა.

აქციაზე, სადაც 200-მდე ადამიანი იყო შეკრებილი, სამართალდამცავებმა 20-მდე სტუდენტი დააკავეს. სტუდენტებმა საპროტესტო მსვლელობა ბელარუსის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტიდან დაიწყეს და მინსკის ცენტრისკენ გაემართნენ, როდესაც „გამარჯვების მოედანს“ მიუახლოვდნენ, მათ სპეცრაზმელებმა გზა გადაუღობეს და დაკავებები დაიწყეს.

სომხეთში ალკოჰოლით მოწამვლით 11 ადამიანი გარდაიცვალა

სომხეთში ალკოჰოლით მოწამვლის შედეგად 11 ადამიანი გარდაიცვალა.

კიდევ 4 მოწამლული მოქალაქე რეანიმაციულ განყოფილებებში იმყოფება.

სურსათის უვნებლობის ინსპექტირების სააგენტოს პრესსამსახურის უფროსმა, ანუშ ჰარუთინიანმა განაცხადა, რომ, პირველადი ვერსიით, მოქალაქეები კუსტარულად დამზადებული არყისგან მოიწამლნენ.

– არყის სავარაუდო მწარმოებელი დაკავებულია. გასაყიდად გამზადებულ პარტია კონფისკებულია, – განაცხადა ჰარუთინიანმა.

საგამოძიებო კომიტეტმა ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მიმდინარეობს გამოძიება.

თურქეთში „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს

თურქეთში ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაცია „ტვიტერის“ გვერდზე თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ გაავრცელა.

„დაკავებულია თურქეთში ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ ე.წ. ემირი“ – წერს თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

თურქეთმა „ისლამური სახელმწიფო“ ტერორისტულ დაჯგუფებად 2013 წელს გამოაცხადა. იმ დროიდან დაჯგუფების წევრები ქვეყანაში ტერორისტულ თავდასხმებს დროდადრო აწყობენ, რის შედეგადაც, ოფიციალური ანკარას ინფორმაციით, დაღუპულია 315 და დაშავებულია ასობით ადამიანი.

ლიბანს ახალი პრემიერი ჰყავს

ლიბანის მთავრობას სათავეში 48 წლის მუსტაფა ადიბი ჩაუდგა. ის მანამდე გერმანიაში ლიბანის ელჩად მუშაობდა.

ჟურნალისტებთან საუბარში ადიბმა განაცხადა, რომ შეეცდება, მთავრობა რაც შეიძლება სწრაფად ჩამოაყალიბოს, რათა ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს.

– უნდა დაჩქარდეს რეფორმები, გააქტიურდეს კორუფციასთან ბრძოლა და დამყარდეს წესრიგი, – თქვა ადიბმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა ინკასატორის მანქანიდან 9.000.000 ევრო გაიტაცეს

საფრანგეთის ქალაქ ლიონში შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა ცხრა მილიონი ევრო გაიტაცეს. ეს ყველაზე მსხვილი ძარცვაა ბოლო ათი წლის მანძილზე საფრანგეთში.

აღნიშნული ინციდენტი პარასკევს, 28 აგვისტოს ქალაქის ცენტრში მოხდა. როდესაც დაჯავშნული ინკასატორების ავტომობილი საფრანგეთის ბანკის განყოფილებიდან გამოდიოდა, მას ორმა სატვირთო მანქანამ გზა გადაუღობა. ერთი წინ ჩაუდგა ინკასატორების მანქანას, მეორე უკან. ამ მანქანებიდან გადმოხტნენ შეიარაღებული პირები და მუქარით მოითხოვეს მათთვის მანქანის ტვირთის გადაცემა.

ფულის მიღებისთანავე მძარცველები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მოგვიანებით დამწვარი სატვირთო ავტომობილები აღმოაჩინეს. ინკასატორების მანქანის მძღოლი და ორი მცველი ამ თავდასხმის შედეგად არ დაშავებულან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოთხი წლის ბიჭს გასართობად სამი ჭიქა ალკოჰოლური სასმელის დალევა აიძულეს

ინდონეზიის პროვინცია სამხრეთ სულავესიში შავი წიწაკის პლანტაციის მფლობელებმა თავიანთი თანამშრომლის ოთხი წლის შვილს გასართობად ალკოჰოლური სასმელი დაალევინეს.

20 წლის ფირმან ეფენდი და 19 წლის რიფკი ჰენდრა პუტრავანი ბიჭს ყურადღებას აქცევდნენ მანამ, სანამ მამამისი პლანტაციაში მუშაობდა. როდესაც ბავშვმა წყალი ითხოვა, მათ ის აიძულეს სამი ჭიქა ალკოჰოლური სასმელი დაელია, შემდეგ კი ყველაფერი ვიდეოზე გადაიღეს. ვიდეო ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ყვირის ბავშვი და ბარბაცით დადის. ის რამდენჯერმე ეცემა და ხის მორს თავით ეჯახება.

ბავშვის მამამ ფირმანს და რიფკის პოლიციაში არ უჩივლა, ვინაიდან სამსახურის დაკარგვის ეშინოდა. მომხდარის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისთვის, როდესაც აღნიშნული ვიდეო ჰიტად იქცა სოციალურ ქსელებში. ორივე ახალგაზრდა მამაკაცი დაპატიმრებულია.

კლოპს მამა სარკიდან უყურებს

ლივერპულის თავკაცმა იურგენ კლოპმა ბოლო 13 თვეში ტრანსფორმაცია განიცადა – ქრონიკული მეორეადგილსნიდან სერიულ გამარჯვებულად იქცა. ლივერპულიც კლოპს უნდა უმადლოდეს, რომ 30 წლის წინ დაკარგული პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა, მოიგო ჩემპიონთა ლიგა და კლუბთა მსოფლიო თასი. როგორც ინგლისური პრესა წერს, გერმანელის საფეხბურთო ფილოსოფია იმდენად მოერგო მერსისაიდულ კლუბს, რომ შემდეგი ეპოქა უთუოდ „წითლებისა“ იქნება.



მაგრამ რაოდენ წარმატებულიც უნდა ყოფილიყო მისი სამწვრთნელო კარიერის 19 წელიწადი, რომელიც ლივერპულის გარდა მაინცსა და დორტმუნდში მუშაობასაც მოიცავდა, იმ დანაკლისს, რომელიც მისმა ოჯახმა განიცადა, ვერაფერი შეავსებს.

მისი მამა, ნორბერტი, შტუტგარტელი კაცი, ახალგაზრდობაში მეზღვაური და ფეხბურთის მეკარეც იყო, შვილის დიდ სამწვრთნელო წარმატებას ვერ მოესწრო.

იურგენ კლოპი:

– მამას მწვრთნელის ამპლუაში არ ვუნახივარ – 4 თვით ადრე გარდაიცვალა. არადა, ბუნებით თავადაც ნამდვილი მწვრთნელი იყო. ჩვენ ამ თემაზე არასდროს გვილაპარაკია, მაგრამ რჩევა რომ მეკითხა, აუცილებლად მეტყოდა: რასაკვირველია, შვილო, შენ მწვრთნელი უნდა გახდე. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში სტიმულს მაძლევდა. სულ მეხმარებოდა, მაქებდა და მკაცრად ძალიან იშვიათად გავუკრიტიკებივარ. ხანდახან შიში მიპყრობს.

აგერ უკვე 53 წლის ვარ და როდესაც სარკეში ვიყურები, იქიდან მამაჩემი მიყურებს. არადა, მამას არასდროს ვმსგავსებივარ. ყოველთვის დედას ვგავდი და აი, უცებ, ასაკში ყველაფერი შეიცვალა. ვიყურები სარკეში და იქ მამაჩემია. ნამდვილი სიგიჟეა.

კლოპი გასულ სეზონსაც შეეხო. მარტში, როდესაც კორონავირუსის პანდემიამ ევროპაში ჩემპიონატები შეაჩერა, გაჩერდა პრემიერლიგაც. მართალია, იმ მომენტისთვის ლივერპული ლიდერი იყო, მაგრამ ინგლისური ფეხბურთის ბოსები შეჯიბრების შეწყვეტასა და გაუქმებასაც არ გამორიცხავდნენ.

– კარანტინის დროს იყო დღეები, როდესაც ვფიქრობდი, რომ ჩვენი ოცნებები დაიმსხვრა. არადა, ასე ახლოს ვიყავით მიზანთან, ასეთი ფენომენალური სეზონი გვქონდა, მაგრამ ყველაფერს დაღუპვა ემუქრებოდა. ცხოვრებაში წარუმატებლობა ყველას გვქონია, ფეხბურთელები კი, მარცხის მწარე გემოს ხანდახან სხვა პროფესიის ადამიანებზე ადრე ვეცნობით.

საზოგადოება

„ღამის სერენადები“ ბათუმში გაიხსნა

ფესტივალი „ღამის სერენადები“ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში მეთორმეტედ გაიხსნა.

მსმენელისთვის აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში დაუკრეს პიანისტმა თათა ლიჩელმა და გია ყანჩელის სახელობის კვარტეტმა ნიკა ბარათელის, მამუკა ბაბუაძის, თემურ ჯაიანის და გიორგი იმანოვის შემადგენლობით. მათ შეასრულეს სულხან ცინცაძის ნაწარმოებები, ასევე შუმანის, რაველის და ლისტის ნაწარმოებები. ლისტის „ნუგეში“ მარიამ დავითაშვილის ხსოვნას მიეძღვნა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში „ღამის სერენადების“ შემოქმედებით ცხოვრებაში იყო ჩართული.

გიორგი ისაკაძე, „ღამის სერენადების“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

– მართალია დიდ სირთულეებს წავაწყდით ფესტივალის ორგანიზებისას, რამდენჯერმე მოგვიხდა პროგრამის გადამუშავება და ცვლილება, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი ფესტივალი მაინც შედგა.

მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის გამო, ვერ შედგა უცხოელი ვარსკვლავების ჩვეული მოწვევა. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვინდოდა არ დარღვეულიყო ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენთვის ყველასთვის სათაყვანებელმა მუსიკოსმა ლიანა ისაკაძემ თავისი მთელი შემოქმედებითი იმპულსით.

არ დავიშურეთ ძალისხმევა, რომ არ გაგვეცრუებინა მოლოდინი ჩვენი ერთგული მსმენელისთვის. წლევანდელ ფესტივალზე წარვდგებით უნიჭიერეს ქართველ მუსიკოსებთან ერთად. დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდება, თუ რა დიდი შემოქმედებითი პოტენციალი გააჩნია ჩვენ სამშობლოს.

სპეციალურად ჩვენი ფესტივალისთვის შეიქმნა ქართველი კომპოზიტორების შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, სათანადო ადგილს დაიკავებენ ქართულ მუსიკალურ საგანძურში. მათი პრემიერა შედგება ფესტივალის თბილისურ საღამოებზე 2 და 4 სექტემბერს. მადლობა კომპოზიტორებს გიორგი შავერზაშვილს და სანდრო ნებიერიძეს.

წელს ფესტივალში მონაწილეობას იღებენ შესანიშნავი სოლისტები: პიანისტები თათა ლიჩელი, სანდრო ნებიერიძე, ელენე შავერზაშვილი და ლიზა ჩხაიძე; გია ყანჩელის სახელობის სიმებიანი კვარტეტი; ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“.

როგორც ყოველთვის, შეეცადეთ მდიდარი, ჟანრობრივად მრავალფეროვანი პროგრამა წარმოგვედგინა. ფესტივალზე შესრულდება ჰაიდნის, ბეთჰოვენის, სიბელიუსის, გრიგის, დვორჟაკის, იანაჩეკის, ვახტანგ მაჭავარიანის და ჯიმშერ ჩხაიძის არაჩვეულებრივი ნაწარმოებები.

მადლობა ყველას, ვინც გვერდში მედგა ამ ურთულეს ვითარებაში და სიცოცხლე შთაბერა იმ საკონცერტო საღამოებს, რომლებიც, ვიმედოვნებ, სიამოვნებას მოგანიჭებთ.

დიდი მადლობა ფესტივალის დირექტორს ნინა ცაგარელს, ფესტივალის მთავარ დირიჟორს, შესანიშნავ მაესტროს ვახტანგ მაჭავარიანს, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ ფესტივალის გახსნის ცერემონია პირდაპირ ეთერში გადასცა.

სოფო ხალვაში, ბათუმის მერის მოადგილე:

– წელს განსაკუთრებული ფორმატით გვიწევს ფესტივალის გახსნა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი ეთერი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც წლიდან წლამდე ელოდებიან ამ ფესტივალს და გულშემატკივრობენ.

„ღამის სერენადები“ როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ისე ჩვენი ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფესტივალია და 12 წლის განმავლობაში ტრადიციულად იმართება ბათუმში. წლების განმავლობაში ფესტივალმა მოახერხა იყოს ხარისხიანი, რამაც განაპირობა, რომ იყოს საინტერესო და მიმზიდველი არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მსმენელისთვისაც.

წლევანდელი ფესტივალი ეძღვნება ქართველი კომპოზიტორისა და პედაგოგის სულხან ცინცაძის 95 წლის იუბილეს.

ქალაქ ბათუმის მერია იყო და იქნება ამ ფესტივალის მხარდამჭერი, რადგან „ღამის სერენადები“ ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა.

თითოეულ მონაწილეს და სულისჩამდგმელს კი მინდა წარმატებები ვუსურვო.

თამარ გუდავა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი:

– ფესტივალ „ღამის სერენადების“ გულშემატკივრებს აქვთ შესაძლებლობა წელს განსხვავებული ფორმატით, მაგრამ მაინც დაესწრონ არაჩვეულებრივ ფესტივალს, რომელიც იქცა ჩვენი ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის მაღალი ხელოვნების და კულტურის სიმბოლოდ.

ფესტივალს ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. ის უდიდესმა ვირტუოზმა ხელოვანმა ქალბატონმა ლიანა ისაკაძემ აფხაზეთში დააარსა. ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ფესტივალი სწორედ ბათუმში აღდგა. წელს მე-12-ედ ტარდება „ღამის სერენადები“ და ვიმედოვნებ, რომ ფესტივალი აფხაზეთში ისევ აღდგება. წარმატება ყველას და ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ამ არაჩვეულებრივი ფესტივალის მხარდამჭერები.

თათა ლიჩელი, პიანისტი:

– წლევანდელი „ღამის სერენადები“ იყო ნამდვილად განსაკუთრებული ჩემთვის. ძალიან ვინერვიულე. პირველად მომიწია პანდემიის პერიოდში ცარიელ დარბაზში დაკვრა და ეს შეგრძნება არასდროს დამავიწყდება.

რა თქმა უნდა, უდიდესი მუხტია, როცა დარბაზში მსმენელია, მაგრამ არანაკლები მუხტი და ემოციაა, როცა იცი, რომ ათასობით ადამიანი გადევნებს თვალს პირდაპირ ეთერში.

ფესტივალი „ღამის სერენადები“ ნამდვილად არის განსაკუთრებული ყველასთვის. მას დიდი ისტორია აქვს და დაუვიწყარი კონცერტებია ჩატარებული მის ფარგლებში.

ბათუმში განსაკუთრებული აურაა, ფესტივალი ქალბატონი ლიანა ისაკაძის სახელს უკავშირდება და ჩემთვის ათასმაგად საპასუხისმგებლოა მასში მონაწილეობა.

დიდი მადლობა ორგანიზატორებს, რომ დიდი ძალისხმევით და უდიდესი მონდომებით ფესტივალის ჩატარება მაინც მოახერხეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რუსები საქართველოში რუსულად მოდიან

თბილისის ლოკომოტივმა ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სენსაციური შედეგი შემოგვთავაზა და რუმინული უნივერსიტატია დაამარცხა. ახლა ჯერი მოსკოვის დინამოზეა – გუნდი, რომელიც წილისყრამ მეორე ეტაპზე არგუნა.

მეტოქე არანაკლებ სერიოზულია, ვიდრე უნივერსიტატია იყო. ლოკომოტივის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა შეაფასა.

გია ჭიაბრიშვილი:

– პირველი ეტაპის წილისყრაზეც ვთქვი და ახლაც ვამბობ, გამართლება-არგამართლებაზე ნამდვილად არაა. პოტენციური მეტოქეებიდან სამივე ძალიან ძლიერი გუნდი იყო, ევროტურნირებზე დიდი გამოცდილებით. მოვემზადებით ისე, როგორც აქამდე ვემზადებოდით – მაქსიმალური მობილიზებითა და კონცენტრაციით. ამ წყვილში ფავორიტი ჩვენი მეტოქეა, მაგრამ პირველ ეტაპზეც ასე ვიყავით, აუტსაიდერებად ვითვლებოდით; ფურცელზე სხვაა, მოედანზე კი – სულ სხვა.

გაგვიმართლა, რომ მეორე ეტაპსაც სახლში ვითამაშებთ. ძალიან ძლიერი, მაღალბიუჯეტიანი მეტოქე გვყავს, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა. შემადგენლობაში რუსეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების 12 ფეხბურთელი ჰყავთ. ასევე, ლეგიონერები ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ხორვატია, გერმანია, პოლონეთი, უკრაინა, ბოსნია, ნიგერია.

ახლა დეტალებში ვერ ჩავალ, რადგან ჯერჯერობით ლოკომოტივი ეროვნული ლიგის მორიგი ტურის მატჩისთვის ემზადება. ამის შემდეგ მთლიანად გადავერთვებით მოსკოვის დინამოსთან მატჩზე.

პირველი კომენტარი გააკეთა რუსული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა კირილ ნოვიკოვმა და ლოკომოტივზე ისაუბრა:

– ცხადია, ამ გუნდის თამაში საფუძვლიანად არ შეგვისწავლია. უახლოეს დღეებში აუცილებლად ვნახავთ მათ მიერ ჩატარებულ შეხვედრებს. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ქართული ფეხბურთის შესახებ მხოლოდ ზოგადი კომენტარის გაკეთება შემიძლია: მათ ყოველთვის ჰყავდათ კარგი, ტექნიკური ფეხბურთელები და გუნდები სულ შემტევი ფეხბურთის თამაშს ცდილობენ. ჩვენ ნებისმიერ მოწინააღმდეგეს დიდ პატივს ვცემთ. ამ მატჩისთვის სერიოზულად მოვემზადებით.

სამაგიეროდ, უფრო ვრცელი კომენტარი გააკეთა დინამოს დირექტორთა საბჭოს წევრმა და კლუბის ფაქტიურმა მმართველმა სერგეი სტეპაშინმა. ცნობისთვის, ადრე სტეპაშინი ფსბ-ს დირექტორი, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

სერგეი სტეპაშინი:

– საინტერესო წილისყრაა. 2008 წლის მოვლენების შემდეგ თბილისში არც ერთ ჩვენს გუნდს არ უთამაშია. მართალი გითხრათ, ლოკომოტივი საერთოდ არ ვიცი – ქართული გუნდებიდან თბილისის დინამო და ქუთაისის ტორპედო ვიცი. ნებისმიერ შემთხვევაში ქართველი ფეხბურთელები ყოველთვის ძალიან ტექნიკურები არიან. საქართველოში დიდია გულშემატკივართა გავლენა და ერთ-ერთი ყველაზე აქტიურები არიან. მხოლოდ ის გადაგვარჩენს, რომ ისინი სტადიონზე არ იქნებიან.

ყველაფერი ნორმალურად უნდა იყოს! ვიცი, რომ რუს და ქართველ ხალხს შორის რა ურთიერთობებიც იყო, ისევე შენარჩუნდა. მიუხედავად ამისა, ეს უბრალოდ ევროპა ლიგის კი არა, არამედ რუსეთ-საქართველოს მატჩია. მე მოსკოვის დინამოს წინაშე საკითხს ასე დავსვამდი. იმედია, ასევე მოიქცევა დირექტორთა საბჭო და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლის იმედი მაქვს.

სერიოზულად მომზადება გვმართებს, რადგან რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში უფასთან შეხვედრამ გვაჩვენა, რომ არავის დაუფასებლობა არ შეიძლება. ისე ჩანდა, თითქოს ზენიტის ძლევის შემდეგ დიდი ანგარიშით უნდა გაგვემარჯვა, ჩვენ კი ფრეს ძლივს მივაღწიეთ. სერიოზულად უნდა მოვემზადოთ.

მოკლედ, რუსები ცდილობენ გუნდი განაწყონ. იმედია, ლოკომოტივიც შესაფერისად დაუხვდება. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

მატჩი 17 სექტემბერს გაიმართება და გამარჯვებული ალბანურ ტეუტასა და ესპანურ გრანადას შორის უმჯობესს 24 სექტემბერს ესპანეთში შეხვდება.

ვაისის გუნდმა შეკრება დაიწყო

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა უეფას ერთა ლიგის მეორე გათამაშებისთვის თბილისში მზადება დაიწყო. პირველ დღეს ეროვნული გუნდი არასრული შემადგენლობით შეიკრიბა – ქვეყნებს შორის დაწესებული სამოგზაურო და საკარანტინე შეზღუდვების გამო, ლეგიონერების უმრავლესობა საწვრთნელ პროცესში გუშინდელი დღიდან ჩაერთო, მაგრამ ყველა ადგილზე მაინც არ იყო.

ვლადიმირ ვაისის მიერ ესტონეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან დასახელებულ შემადგენლობაში მორიგი იძულებითი ცვლილება განხორციელდა. გიორგი ნავალოვსკი და ოთარ კიტეიშვილი სექტემბერში დაგეგმილ მატჩებს ტრავმის გამო გამოტოვებენ.

ამ დროისთვის საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 25 ფეხბურთელია გამოძახებული. საწვრთნელი პროცესი 3 სექტემბრის ჩათვლით თბილისის ზღვაზე მდებარე საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის ბაზაზე შედგება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი),სოლომონ კვერკველია (როტორი, რუსეთი), ნიკა მალი (საბურთალო), მამუკა კობახიძე (დინამო ბთ), დავით კობური (დინამო თბ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონია, თურქეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯიუ, თურქეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), გიორგი კუცია (დინამო თბ), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა კაჭარავა (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი).

მესის საგა გრძელდება

ბოლო პერიოდის ყველაზე ხმაურიანი თემა ლეო მესი და ბარსელონაა. მესის წასვლა უნდა, ბარსა კი სერიოზულ ფასს ადებს. ეს კი მყიდველ მხარეს არ ხიბლავს. არადა, არგენტინელიც კატეგორიულია.

შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ მესიმ მთელი შემდეგი სეზონი გამოტოვოს, რათა ბარსელონას ლეგალურად დატოვება შეძლოს.

არგენტინელს კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად 700 მილიონი ევრო ეწერა, მაგრამ ბოლოდროინდელი ინფორმაციით, ამ შეთანხმებას ვადა გაუვიდა. საქმე ისაა, რომ როდესაც მესიმ უკანასკნელად ხელშეკრულება გაახანგრძლივა, შეთანხმებაში ჩაიდო პუნქტი, რომელიც 3+1 სეზონს ითვალისწინებს, გამოსასყიდი თანხა კი მხოლოდ 3 სეზონზე იყო გათვალისწინებული. ამ ზაფხულს კი, სატრანსფერო თანხა კლუბებს შორის მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული.

ხელმძღვანელობას ლეოს უფასოდ ან მიზერულ თანხად გაშვება არ სურს. ბარსას პრეზიდენტს, ხოსეპ მარია ბართომეუს ფეხბურთელის მამასთან, ხორხე მესისთან შეხვედრა და დალაპარაკება უნდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბართომეუ ახალ კონტრაქტს ამზადებს, რომლის თანახმადაც, არგენტინელი ფეხბურთელი ბარსაში 2023 წლამდე, საგრძნობლად გაუმჯობესებული პირობებით დარჩება.

ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, კვლავ ჩაიწერება 700-მილიონიანი გამოსასყიდი თანხა, რაც უკვე კლუბის ინტერესებშია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თასის წილისყრამ წყვილები დაალაგა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. ამ ეტაპზე გასული 16 გუნდიდან 10 წარმოადგენს ეროვნულ ლიგას, 2 – ეროვნული ლიგა 2-ს, 3 – ლიგა 3-ს და ერთიც ლიგა 4-ს. წილისყრამ ასეთი შედეგები მოგვცა:

19 სექტემბერი:

გახეჯი-სამგუხაღი;

გაგხა-დინამო (ბთ);

სპაეხი-დიღა;

20 სექტემბერი

ბეთლემი-ტოხპედო;

თბილისი სიტი-სამტხედია;

თელავი-მეხანი (თბ).

ჯერჯერობით გაურკვეველია კიდევ 2 წყვილის, ჩიხურა-ლოკომოტივი და საბურთალო-დინამო (თბ) ჩატარების თარიღი. დინამოსა და ლოკომოტივს 17 სექტემბერს ევროპალიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე უწევთ თამაში, მათი სათასო დაპირისპირებების თარიღი იმის მიხედვით გაირკვევა, გააგრძელებენ თუ არა ისინი ევროტურნირებზე ასპარეზობას.

ჩისკო ფრთხილობს

როგორც უკვე იცით, თბილისის დინამო ალბანურ ტირანასთან მარცხის შემდეგ ჩემპიონთა ლიგიდან ევროპალიგაზე გადაერთო და მეტოქეც ცნობილია – უელსური ქონაჰ ნომადი.

დინამოელთა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჩისკო მუნიოსმა თბილისურ კლუბში დაბრუნებაზე და ევროპა ლიგის კენჭისყრის შედეგის შესახებ ისაუბრა.

ჩისკო მუნიოსი:

– ჩემთვის ამ გუნდში ყოფნა ყოველთვის ბედნიერების ტოლფასია, რადგან დინამო ჩემი მეორე სახლია. კლუბში არყოფნისას განშორებასაც ვერ ვგრძნობ. აქ ბოლოს 7 თვის წინ ვიყავი და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს გუშინ იყო. კლუბის ყველა თანამშრომელი ჩემთვის ძალიან ახლობელი და დასაფასებელი პიროვნებაა, მათთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. რაც შეეხება ევროპა ლიგას, მოკლე დროში შეფასების გაკეთება გამიჭირდება, თუმცა ჩვენი სამწვრთნელო შტაბი ყველაფერს განიხილავს, რის შემდეგაც მეტოქის ძალისა და დონის შესახებ კონკრეტული წარმოდგენა გვექნება. ერთი რამის თქმა კი შემიძლია, ამ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არიან. პირველ რიგში, ჩვენი გუნდის მენტალური მდგომარეობა უკეთესობისკენ უნდა შევცვალოთ. დანარჩენი კი მომავალში გამოჩნდება და თავის საუკეთესოდ წარმოჩენას შევეცდებით.

მოგეხსენებათ, ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დინამო უელსის ჩემპიონს 17 სექტემბერს სტუმრად შეხვდება, გამარჯვების შემთხვევაში კი, შემდეგ ეტაპზე ფარერის კუნძულების ჩემპიონ კლაკსვიკს ასევე სტუმრად 24 სექტემბერს დაუპირისპირდება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. მსხვილი მემამულე; 5. პიროვნების გაძევება სახელმწიფოდან; 10. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 19. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. ტერიტორიული ერთეული; 23. შაქრით, ჩაისა და ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

თარაზულად: 6. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 7. ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად; 9. თურქეთის პრეზიდენტი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ლუდის სასმისი; 20. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა; 22. ეგვიპტელი ქრისტიანები; 24. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 25. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 26. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხულა; 2. ეპოსი; 3. მღილი; 5. ბალეტი; 6. ნუვორიში; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. კიი; 16. თუშეთი; 18. ბიტი.

თარაზულად: 1. ხარება; 4. კაბოშონი; 7. ყოჩები; 8. ლინდერი; 12. ჰეტრა; 13. აკვანი; 15. ცეზურა; 17. ტაო; 19. ღვინობისთვე; 20. გინეა; 21. ჩინური.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ისტვუდი; 2. ჩოქბჯენი; 3. ფილატელია; 4. ამერიკა; 5. გინეკოლოგი; 10. ქორალი; 11. კოსტიოლი; 12. მუხიანი; 13. არეშიძე; 16. გალაქტიკა; 17. ზელინსკი; 19. ავლაბარი; 21. ფლუსი; 23. ფლეში.

თარაზულად: 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. დურუჯი; 9. სტეინიცი; 14. არსენალი; 15. ციხისძირი; 18. მალტა; 20. ვერმელი; 22. ნეფრიტი; 24. ალმაზა; 25. ვილნიუსი; 26. ჰაშეკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 სექტემბერი

აშშ დოლარი — 3.0714	ევრო — 3.6614
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0896	100 რუსული რუბლი — 4.1608

ამინდის პროგნოზი 2 სექტემბრისათვის

გონსალო იგუაინი კარიერას ამერიკაში გააგრძელებს

ტურინის იუვენტუსის არგენტინელი ფორვარდი გონსალო იგუაინი კარიერას დიდი ალბათობით ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს.

იუვენტუსის ხელმძღვანელობამ იგუაინს მიანიშნა, რომ მისი გაყიდვა სურთ და მან ახალი გუნდი უნდა მოძებნოს. ერთ-ერთი ვარიანტი დევიდ ბექჰემის კლუბი მაიამია, რომელიც ფორვარდს ეძებს და ისინი უკვე დაუკავშირდნენ იგუაინის აგენტს.

სავარაუდოდ, იუვენტუსი დიდ თანხას არ მოითხოვს, ამიტომ ტრანსფერი მალე განხორციელდება.

სუარესი შესაძლოა იუვენტუსის ფეხბურთელი გახდეს



ბარსელონას ურუგვაელი ფორვარდი ლუის სუარესი დიდი ალბათობით უახლოეს მომავალში გუნდს დატოვებს. მისი შეძენით უკვე რამდენიმე კლუბი დაინტერესდა, მათ შორის ტურინის იუვენტუსიც, რომელიც მზად არის ამ ტრანსფერში 30 მილიონი გადაიხადოს. სუარესი თანახმაა იუვენტუსში გადასვლაზე და მას მხოლოდ პირადი კონტრაქტის დეტალები დარჩა შესამოწმებელი.

სავარაუდოდ, სუარესის ანაზღაურება უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ეს ბარსელონაში იყო.

იბრაჰიმოვიჩმა მილანთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მილანთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა და ის ამ გუნდის ფეხბურთელი 2021 წლამდე იქნება. იბრაჰიმოვიჩმა მცირე კომენტარიც გააკეთა და თქვა, რომ ის შეეცდება, მილანს ტიტულები მოაგებინოს:

– მილანში იმიტომ დავრჩი, რომ ამ გუნდში დავინახე პოტენციალი და ვიცი, რომ მომავალ სეზონში შეგვიძლია ტიტულებისთვის ბრძოლა, თუმცა ვიცი, რომ ეს იოლი არ იქნება. მილანში იმდენი ხანი ვიქნები, რამდენიც საჭიროა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 სექტემბრისათვის

ვერძი – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანცელი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კაცი ქალს ეკითხება:
– სწავლობთ, მუშაობთ?
– ვსწავლობ, ვმუშაობ.
– გათხოვილი ხართ, მეგობარი მამაკაცი გყავთ?
– გათხოვილი ვარ, მეგობარი მამაკაცი მყავს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– აბა, როგორაა საქმე, წავიდა შენი სიდედრი?
– კი, გემით კრუიზში გავუშვი...
– მერე?
– მართალია „ტიტანიკი“ არ არის, მაგრამ იმედი მაქვს...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს გახარებული ეუბნება:
– ბიჭო, წარმოგიდგენია, ბიჭი შემეძინა, ბიჭი, ექვსი გოგოს შემდეგ, როგორც იქნა, ბიჭი მყავს, ბიჭი!
– გილოცავ და ვის ჰგავს, შენ, თუ შენ ცოლს?
– არ ვიცი, სახეზე ჯერ არ შემიხედავს...

●●●

ჟურნალისტი მშენებლობის ხელმძღვანელს ეკითხება:
– აქ რამდენი ადამიანი მუშაობს?
– ბრიგადირით 10.
– და, უბრიგადიროდ?
– არავინ.

●●●

ყოფილმა ოფიციანტმა პატრულად დაიწყო მუშაობა და ნაცნობი ეკითხება:
– აბა, როგორ მოგწონს ახალი სამსახური?
– რა თქმა უნდა, შემოსავალი ნაკლებია, მაგრამ ყველაზე ძალიან ის მომწონს, რომ კლიენტი ყოველთვის მტყუანია...

●●●

ქალი კაცს ეუბნება:
– იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, შენ, როგორც პატიოსანი მამაკაცი, ვალდებული ხარ ცოლად მომიყვანო.
– იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, ჩემს პატიოსნებაზე საუბარი ზედმეტია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სერგი გვარჯალაძემ თანამდებობა დატოვა

ტელეწამყვანმა სერგი გვარჯალაძემ თბილისის ღამის ეკონომიკის მენეჯერის თანამდებობა დატოვა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, სერგი გვარჯალაძემ მასზე დაკისრებული სამუშაო შეასრულა და თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. ხოლო პოზიცია, რომელსაც ის იკავებდა – მერის მრჩეველი ღამის ეკონომიკის განვითარების კუთხით, გაუქმდება და მის ფუნქციებს მერიის კულტურის საქალაქო სამსახური შეითავსებს. ?

სერგი გვარჯალაძე თბილისის ღამის ეკონომიკის პროექტის მენეჯერად 2018 წლის მარტში დაინიშნა.

თამარ ივერი კონსერვატორიის მიწვეული პროფესორია

ოპერის მომღერალი თამარ ივერი თბილისის კონსერვატორიაში მიწვეული პროფესორის რანგში ვოკალის პედაგოგად იმუშავებს:

– გულით მიხარია იმ კედლებში, სადაც გავიზარდე და მომღერლად ჩამოვყალიბდი, ჩემი შემდგომი ვოკალური კარიერის პარალელურად, კონსერვატორიის ამ რთულ, პოსტპანდემიურ სიტუაციაში, გვერდით დავუდგე ჩვენს ახალგაზრდა თაობას, დამწყებ ნიჭიერ ვოკალისტებს, გავუზიარო ის გამოცდილება, რაც დავაგროვე 20 წლის მანძილზე მსოფლიოს საოპერო სცენებზე და თუნდაც ერთი „აგური“ დავდო მათი შემდგომი კარიერის საძირკველში.

დიდი მადლობა რექტორ ნანა შარიქაძეს ამ საპატიო შეთავაზებისთვის და ნდობის გამოხატულებისთვის. ვეცდები გავამართლო მისი და ყველა იმ ადამიანის იმედი, ვინც მას ჩემს მიმართებაში ამყარებს! მიყვარხართ!

ქეთი ხატიაშვილმა მოდელობა დაიწყო

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებულმა, ტანმოვარჯიშე ქეთი ხატიაშვილმა მოდელობა დაიწყო და ფოტოგრაფ ლუიზა ჩალათაშვილის ობიექტივის წინ იპოზიორა.

ქეთი მსოფლიოში ცნობილი ბრენდის „ჰ და მ“-ს სახე გახდა:

– რომ დამირეკეს, არ მჯეროდა, საქართველოში ჰ და მ-ს და ცნობილი ლიბანელი დიზაინერი კოლაბორაციის ფოტოებისთვის თქვენ აგირჩიეთო! კოლექცია გარკვეულ ქვეყნებში გაყიდვაში შევა, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. რამდენიმე ლუქი მოვირგე და არ დაგიმალავთ, თავი კონკია მეგონა.



საბა საფარელმა 4 კლიპი გადაიღო

ქუჩის მუსიკოსმა საბა საფარელმა ყველანაირი რეკორდი მოხსნა და სამ კვირაში 4 კლიპი გადაიღო:

– ყველანაირი რეკორდი მოხსნილია, სამ კვირაში ოთხი კლიპი გადავიღე: „ლურჯი იები“, „სხვაგან მელიან“ – დუეტი ნათან თორიასთან, „სამბა“ – დუეტი მაესტროსთან და ბუსთან და „მე მოგხატავ ცაზე“. ყველა მათგანს იხილავთ სექტემბრის მეორე ნახევარში.

ონლაინ-კონფერენციის დროს ჩინოსანი მდივანთან სექსით იყო დაკავებული

ჩინოსანი ფილიპინების პროვინცია კავიტედან საკუთარ მდივანთან სექსით იმ დროს დაკავდა, როდესაც ონლაინ-კონფერენციაში იღებდა მონაწილეობას. მან შეცდომით ვიდეო ჩართო.

სოფელ ფატიმა დოსის საბჭოს თანამშრომლები ონლაინ-პლატფორმა ზუმზე რეგულარულ კონფერენციაზე შეიკრიბნენ. მოგვიანებით პირდაპირ ეთერში ჩაერთო მათი უფროსი ჯესუს ესტილი. ვინაიდან ის ცუდად ერკვევა თანამედროვე ტექნოლოგიებში, მან შეცდომით თითი დააჭირა ღილაკს და ვიდეოკამერა ჩართული დატოვა. მისმა ხელქვეითებმა მიმდინარე პრობლემებზე დაიწყეს მსჯელობა, ამ დროს კი მათი ხელმძღვანელი წამოდგა და მივიდა ქალთან, რომელიც კომპიუტერიდან სულ რამდენიმე ნაბიჯში მდებარე დივანზე იჯდა.

ესტილმა და ქალმა არ იცოდნენ, რომ კამერა ჩართული იყო და სექსი გააჩაღეს, მათ ამ ქმედებას კი კოლეგები გაოგნებულები უყურებდნენ. მოგვიანებით დადგინდა, რომ ქალი ჩინოსნის მდივანი იყო, რომელიც ასევე ბუღალტრის საქმიანობასაც ითავსებდა. ესტილის ერთ-ერთმა ხელქვეითმა ეს ყოველივე ვიდეოზე ჩაიწერა.

მოგვიანებით მან ვიდეო გაასაჯაროვა, რის შემდეგაც სოფლის მცხოვრებლებმა თანამდებობის პირის სამსახურიდან განთავისუფლება მოითხოვეს.

ქვეყნის შინაგან საქმეთა და შინაგანი თვითმმართველობის სამინისტროში განაცხადეს, რომ ესტილს თანამდებობიდან უახლოეს დღეებში გაათავისუფლებენ. ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ არც ესტილი და არც მისი მდივანი სამსახურში აღარ გამოჩენილან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 3. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. რძის პროდუქტი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც მეხუთე საუკუნეში გაძარცვა და დაარბია რომი; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. ცნობილი იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 18. ლატვიის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. შენობის სახურავად გამოყენებული ნაპობი თხელი ფიცარი ძველად საქართველოში; 4. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 8. სპეციფიკური მძაფრი გემოს მქონე მწვანილი; 12. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. დენის ძალის საზომი ერთეული ფიზიკაში; 15. მეფის განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძანებულება; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება სახვით ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. ღვინის სასმისი; 21. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა